ეროვნული ბიბლიოთეკა „ეროვნული ენციკლოპედია"

ვერსია

60 თეთრი №107 (1133) 26 - 27 ოქტომბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მარგველაშვილი საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს?!

რას ნიშნავს კანონის ენაზე სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და რა ბერკეტები აქვთ პრეზიდენტსა და ოპოზიციას ესკალაციის თავიდან ასაცილებლად

გვ. 3

ლიტო გელოვანი

გვარამია-მარგველაშვილი კასრებში

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების მუხლით გამოძიება დაიწყო

გვ. 3

რატომ არ ახსენებს ქიბარ ხალვაში დავით ბეჭუაშვილს, ვისაც „რუსთავი 2"-ის წილი გადაუფორმა

გვ. 7

გია ხუხაშვილი: „საკაშვილის მსგავსად, სისხლის სამართლის საქმე ქიბარ ხალვაშის წინააღმდეგაც უნდა აღიძრას!"

მეფუტკრეობის კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამაში რეგისტრაცია 2 ნოემბრამდე გაგრძელდა

გიორგი მიშელაძე: „პირველი ცხოველური პროდუქტი, რომელიც შესაძლოა, საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე მოხვდეს, თაფლია"

გვ. 8

„ცოლი არ მყავს და ვერ დამაშანტაჟებთ!"

გვ. 5-6

ვინ და რის სანაცვლოდ სთავაზობდა მიღიონ დოლარს ჯაბა ჯიშკარიანს

ჯენერიკ მედიკამენტებით იგივე შედეგის მიღწევაა შესაძლებელი, როგორც ძვირადღირებული პრეპარატებით მკურნალობისას

გვ. 9

გაუპატიურებულმა კახელმა მელვინემ თავი მოიკლა

გვ. 10

პატიმრების „გაქათმების" ჩეჩნური „ტრადიცია"

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

დიტო გელოვანი

ღერბის საქმეს რომ მორჩა, ახლა სამუშაოს იმ ნაწილის მოთავებას შეუდგა, რომელიც მდგომარეობდა გულისამაჩუყებელი წარწერების შედგენაში. ჯიმმა ისეთი წარწერა უნდა გააკეთოს, როგორსაც სხვები აკეთებდნენო. ბევრი რამ მოიგონა, ქაღალდზე ჩამოწერა და ხმამაღლა წაიკითხა: 1. აქ გასკდა ტყვედქმნილი გული; 2. აქ დაასრულა თავისი მწუხარე ცხოვრება ქვეყნისა და მეგობრების მიერ მიტოვებულმა საწყალმა პატიმარმა; 3. აქ ოცდაჩვიდმეტი წლის განმარტოებული პატიმრობის შემდეგ შეწყდა გულისცემა და განისვენა დაღლილმა სულმა; 4. აქ დაიღუპა ოცდაჩვიდმეტი წლის პატიმრობის შემდეგ უსახლკარო, უმეგობროდ დარჩენილი, კეთილშობილი უცნობი, ლუდოვიკო XIV-ს უკანონო შვილი.

(მარკ ტვენი, „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“)

გვარამია-მარგველაშვილი კასრებში

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, დავით ბაქრაძის განცხადებით, ე.წ. წამების კადრები არის მისი პარტიის სირცხვილი და დაღი, რომელიც მათ ცხოვრების ბოლომდე გაყვება. როგორც ბაქრაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ყველა ადამიანი, რომელიც აღნიშნულ კადრებს უკვეთავდა, ვინც იღებდა და ვინც მონაწილეობდა, უმკაცრესად უნდა დაისაჯოს: „რაც შეეხება კადრებს, ორი აზრი არ არსებობს, ეს იყო სირცხვილი და დაღი, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას ბოლომდე გაჰყვება, იმის გამო, რომ ასეთი ადამიანები მუშაობდნენ ჩვენს ძალოვან სტრუქტურებში და რა თქმა უნდა, ყველა, ვინც მონაწილეობდა, ვინც უკვეთავდა, ვინც იღებდა კადრებს, უნდა იქნეს კანონის სიმკაცრით დასჯილი. მე არ გავურბივარ არც იმის თქმას, კიდევ ერთხელ, რომ ეს არის ძალიან მტკივნეული მონაკვეთი, ეტაპი წარსულისა, რომელიც დიდხანს გაგვყვება, როგორც ტკივილი, როგორც პოლიტიკურ პარტიას და ყოფილი ხელისუფლებას, მაგრამ მეორე პრობლემა არის ის, რაც დღეს ხდება. დღევანდელ ხელისუფლებაში საკმარისი რაოდენობით არიან ავადმყოფი ადამიანები, რომლებიც ამ სადისტების დაჭერის ნაცვლად, გამოდიან და ქუჩაში, საჯაროდ ახდენენ ასეთი კადრების დემონსტრირებას“, — როგორც ხედავთ პირდაპირ ნიუსით დავიწყე.

რატომ დავიწყე ასე? რატომ არა, ვთქვათ, გვარამიას ცრემლებით ან ნანუაშვილის სლუკუნით, ან, ვთქვათ, მარგველაშვილის შეძახილებით?

იმიტომ, რომ სირცხვილისა და დაღის მაგათ არაფერი ეტყობათ. ეტყობა რამე კვესიტაძეს? ან ეკა გიგაურს თუ ეტყობა რამე? გვარამიას? ბოკერიას და ჩერგოლეიშვილს? ხაბაზს? სიდედრის ძეს?

ეტყობა ვინმეს რამე?

კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ: „დღევანდელ ხელისუფლებაში საკმარისი რაოდენობით არიან ავადმყოფი ადამიანები, რომლებიც ამ სადისტების დაჭერის ნაცვლად, გამოდიან და ქუჩაში, საჯაროდ ახდენენ ასეთი კადრების დემონსტრირებას“.

როდის მე ვამბობდი, მარგველა კრისაა-მეთქი და ოეეჰ, ჯერ კიდევ როდის ვიძახდი, ბაქრაძე ქლიბია-მეთქი!

„ეს იყო ის სირცხვილი და დაღი, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას ბოლომდე გაჰყვება“, — ეს მენიშნა, მაგრამ რა არის, იცით? აი, რომ ამბობს, ჩვენს ხელისუფლებასო, მაგით იმის თქმა უნდა, რომ ყველანი იღებენ პასუხისმგებლობას და ერთობლიობაში ჩვეულებრივი ამბავია, რომ მეტ-ნაკლებობაც მოდის. ქლიბი თავს იზღვევს, ქლიბი ეშმაკობს, ქლიბი თან ქლიბავს და თან ხერხავს. ქლიბი კეკლუცობს, მაგრამ ქლიბი ქლიბია და ხანდახან წამოცდება ხოლმე ქლიბობები — „ეს იყო ის სირცხვილი და დაღი, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას ბოლომდე გაჰყვება, იმის გამო, რომ ასეთი ადამიანები მუშაობდნენ ჩვენს ძალოვან სტრუქტურებში“.

ის სადისტები ადამიანები არიან, ხოლო ვისაც მაგათი დაჭერა ევალება — ავადმყოფები.

ერთი ქლიბი ყველა გვარში გამოერევაო, ნათქვამია.

ბაქრაძის სიტყვებზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ მთელ მაგათ ნაცბოზურ შემადგენლობაში ეგ ითვლება ყველაზე კდემამოსილად, აი, მამალ ბუზს არ დაისვამსო, რომ იტყვიან. ჯერ ეს ერთი, რა უნდა ბუზს ქლიბზე, და მეორეც — ბუზებს კასრები უფრო იზიდავს, კასრები, სადაც ერთმა მართლა ავადმყოფმა სხვა, თავისნაირ ავადმყოფებზე გადაღებული სიბინძურეები შეინახა.

კომბლე ის კაცი იყო, კომბლებს რომ თლიდა და ჭერში აწყობდა, სააკაშვილი კი, იღებდა იმას, რასაც იღებდა, ალაგებდა იმაში, რაშიც ალაგებდა, ავრცელებს იქ, სადაც ავრცელებს და ელის რეაქციას, რომელი რეაქციაც გასულ კვირაში მართლაც იყო, მაგრამ კარგად რომ დაფიქრდე, სჯობდა, არ ყოფილიყო. ამას ვგულისხმობ: „ქუთაისში აქციის მონაწილეებმა ნაცმოძრაობის ოფისს კვერცხები დაუშინეს“, ნაციონალური მოძრაობის გორის ოფისს კვერცხები დაუშინეს“, „ფოთში ნაცმოძრაობის ოფისს კვერცხები ესროლეს“, „ლანჩხუთის ნაციონალური მოძრაობის ოფისის კარი შეადღეს“... წითლად შეღებეს, კეთილები მოუხსენიეს დედა აგინეს, უსურვეს მამის შიმშილი და ა.შ.

ცოტაც და, ნაცები შემეცოდებიან... ეს, შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო, იმ კადრებზე ადამიანებს სახეები რომ დაუფარა, ასევე იქცევა ისიც, ვინც ამ საზიზღრობას უკრაინაში ავრცელებს, მაგრამ საახოვმა თუ თავზე ხელი აიღო, ქვეყანას მოსდებს და მერე დაივიწყეთ გვარამიას „რა, სად, როდის“, რადგან ყველას ეცოდინება მაგათი „ვინ, ვის და რაში“.

ზემოთ წაკითხვაზე ვსაუბრობდი. ხშირად, უბრალოდ წაკითხვა არ არის საკმარისი, აუცილებელია წაკითხვა ყურადღებით, თორემ ვერ გაიგებ და გაგება რომ მთავარია, ამაზე ყველა თანხმდება. მოკლედ, ყურადღებით უნდა წაიკითხო, უყურადღებობას სავალალო შედეგები მოსდევს. მაგალითად, რუსთაველის სიტყვები „რასაცა გასცემ შენია“ ვიღაცამ ზერელედ ჩაიკითხა და ასე გაიგო — „რასაცა მისცემ შენია“, და ამის შემდეგ მისი უკვე აღარაფერი იყო. გადააღებინეს რაღაც ფილმი, გააპრავებინეს რომელიღაც მედიასაშუალების დარბევა, ხელი მოაწერინეს უამრავი უდანაშაულოს ციხეში ჩაგდებაზე, შემდეგ ეს უდანაშაულოები აწამეს, დაამცირეს... და ახლა ის, უყურადღებოდ წამკითხავი, გამოდის, იმუქრება და ტირის.

ყველაფრის ცოდნაზე რომ დებ თავს, ისიც უნდა იცოდე, რას რა მოსდევს და ისიც უნდა იცოდე, ერთი ჩემი „პროვოკატორი“ მეგობარი „სწორი ნაწლავის სწორად გამოყენებას“ რომ უწოდებს.

ისე, ყველამ თავის ნაწლავებს მიხედოს, თავისია და ვისაც უნდა, იმას მოახმაროს, სხვას ნუ გადააყოლებს. და ბარემ იმასაც ვეტყვი, რომ წაკითხვა აუცილებელია და ყურადღებით წაკითხვა — მით უმეტეს, ბოლომდე წაკითხვასაც ნუ დაიზარებთ. მაგალითად „რასაცა გასცემ შენია“ და, შემდეგ „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

ეს არ მომეწონა: „გიორგი კვირიკაშვილი – გაცილებით ნაკლები ზიანი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას არაობიექტურმა სარედაქციო პოლიტიკამ, ვიდრე ჩვენი პარტნიორების შეკითხვებმა მედიათავისუფლებასთან დაკავშირებით“.

ღმერთო, რა დააშავა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, სულ ერთმანეთზე უარესებს რომ უგზავნი?! ხან ქლიბი, ხან რუსეთის მოქალაქე ლოქო ქინძმარში, მერე ატამი, კიდევ ქათამი, სულ ადრე — კაგებეშნიკი, რომელიც ყველას სუკის აგენტად აცხადებდა. რომ ჩამოყვე და ჩამოთვალო, ერთი-ორს თუ იპოვნი ღამაზს, ჭკვიანს, ამოდ მოუბარს, არაქათამს, არაკაგებეშნიკს, კაიოჯახიშვილს, თერაპევტს...

კიდევ ერთხელ მოვითხოვ თქვენს ყურადღებას: „გიორგი კვირიკაშვილი – გაცილებით ნაკლები ზიანი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას არაობიექტურმა სარედაქციო პოლიტიკამ, ვიდრე ჩვენი პარტნიორების შეკითხვებმა მედიათავისუფლებასთან დაკავშირებით“.

კვირიკაშვილს ვეუბნები: ოე, ჩემი ბიჭი, ახლა კარგად მომისმინე. კასრებში დამალული ცოცხები სწორედ „არაობიექტური სარედაქციო პოლიტიკის“ დამსახურებაა, შენ კიდევ, სანამ პარტნიორების შეკითხვებს აარიდებ თავს, იმაზე იფიქრე, რომ ამომრჩევლებს და გადასახადების გადამხდელებსაც აქვთ შეკითხვები. თუ არადა, დაწერე განცხადება და წადი. ოლიმპიური სისტემაა. ვენაცვალე ოლიმპიურ სისტემას. თუ მართალი ხარ და პასუხი მაინც არ გაქვს, მოშორდი, წადი სახლში. აგერ, გვარამია ყელამდე კასრში ზის, მაგრამ მაინც თავისას უბერავს, მარგველაშვილი ყელამდე ზის მის მიერ გარყვნილების ბუდედწოდებულ ავლაბრის რეზიდენციაში და ისიც უბერავს, არასამთავრობო ორგანიზაციები ყელამდე სხედან გრანტებში და ისინიც უბერავენ. სახალხო დამცველი იქაც ზის, იქაც და იქაც და, რომ არ უბერავდეს აქამდე გაბერავდნენ.

უბერავს-მეთქი და, აჰა, თუ არ უბერავს — დაგვაყადაღესო, დაგვაჩმორესო, მიგვაჩუხანეს და გაგვაფარჩაკესო, ანეტა გეძახისო და, არმაგედონის ზანგმა დაგვიძახაო... დავიხურებით, ფული მაინც არ გვაქვსო და, რუსთაველზე კონცერტს აწყობენ. მერე რა, რომ კონცერტი ძალიან უნიჭო იყო, მერე რა, რომ ხალხი არ მივიდა, მერე რა, რომ მიკროფონი კასრში ჩაუვარდათ... ხარჯი ხარჯია და, დაყადაღებულები თუ ამდენ სიმახინჯეს აფრქვევენ, დაუყადაღებლად რა იქნება?

ყადაღა-მადაღა ჩემი საქმე არ არის. მე სასამართლოს ველოდები და მოსამართლეს ვენდობი. დანარჩენი მერე, ფაქტები, ციფრები და ანალიზი რომ დაიდება. ღმერთმა დამიფაროს და, პაატა დავითაიას კი არ ვგავარ, პლაჟზე საცურაო ტრუსებით ან შორტებით დავდივარ, კაცი ტანგას რომ ჩაიცმევს, ის ჯერ გვარამიას მიუჯდება და მერე დონაძის გვერდით მიუჩენენ ადგილს.

არ გვაინტერესებს სასამართლო, არ გვაინტერესებს მოსამართლე, გვკიდია ფაქტები, ვერ ვიხსენებთ მოვლენებს, არ გვაინტერესებს არაფერი, მოვაწყობთ აქციებს, დავცემთ კარავს, დავწვებით, ვიშიმშილებთ...

თქვენ კი გაშიმშილათ არმაგედონის ზანგმა!..

22-ში გამოიტანს გადაწყვეტილებას, 22-ში დასრულდება სიტყვის თავისუფლება, 22-ში აღარ მოგვცემენ ვიზალიბერალიზაციას და 22-ში ვეღარ აღვადგენთ თავისუფალ საქართველოს.

რა დევს ამისთანა იმ კასრებში, თვით ნიკა გვარამია რომ აატირა? არმაგედონის ზანგი თუ არა, კონან-ბარბაროსი და ივან დრაგო მაინც იქნებოდნენ საუკეთესო წლებში და ფორმის პიკში.

კონცერტზე კი, ზუსტად იმდენი ხალხი მივიდა, რამდენიც გასვენებაში მიდის ხოლმე — ხუთასი-ექვსასი, საიდანაც სამასმა-ოთხასმა, ალან პრაისის სახელით სულ დედა აგინა ნაციონალური მოძრაობის ხელოვნების მუშაკებს.

საერთოდ, მე მიყვარს ხელოვანი ადამიანები, მაგრამ რატომ ხდება, აქაურები, რომ ბერდებიან, თან კვერცხდებიან ხოლმე. როგორ ვინატრო „კლუბი 27“ თავისი ჯიმი ჰენდრიქსით, ჯენის ჯოპლინით, ჯიმ მორისონით, კურტ კობეინით?! თუმცა, ჩვენც ხომ გვაქვს ეგეთივე კლუბი — ტატო ბარათაშვილი, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი...

პაატა ბურჭულაძეზეა ვდარდობ, თორემ ის ამერიკისდროშიანი ბაბუ, ომარ-კალმარ მარაქველიძე, ერ2 სულ აქეთ-იქით რომ დაარბენინებს, სულაც არ მედარდება, მაგრამ დახეთ ამბავს: ომარ მარაქველიძის იდეა, ჯერ არჩევნები ჩატარდეს და ერ2-ის მფლობელის ვინაობა სასამართლომ შემდეგ დაადგინოსო, მეორე დღესვე აიტაცა პაატა ბურჭულაძემ.

გაიგე ახლა, პაატა ბურჭულაძეა ომარ მარაქველიძედ გადაცმული თუ, ომარ მარაქველიძე მოიღერებს ხოლმე ყელს და არიებს მღერის.

იცით, რას ვიზამ? პაატა ბურჭულაძეს შეცდომად ჩავუთვლი. ვის არ შეშლია? ნოტები გადაშალოს, ყელი მოიღეროს და ის გააკეთოს, რაც კარგად გამოსდის — სიმღერა. ჩავთვალოთ, რომ ეს იყო უნებლიე შეცდომა, ყოველგვარი ცინიზმისა და ირონიის გარეშე. ასეთ, ირონიულ და ცინიკურ შეცდომებს, სხვები უშვებენ. მაგალითად ეს ნიუსი: „ნიკა გვარამია მოსამართლეს — ვწუხვარ, რომ თქვენს დანიშვნაზე ხელი მაქვს აწეული, ეს ყველაზე უფრო ცინიკური და ირონიული შეცდომაა, რაც დამიშვია“.

ეს სიტყვები გვარამიამ გასულ ორშაბათს ბრძანა, გასულ ოთხშაბათს კი, იტირა.

გვარამია არ არის ის ჰომოსაპიენსი, ადამიანის უფლებებს, საქართველოს ევროპულ არჩევანს, სიტყვის თავისუფლებას და სასამართლოს დამოუკიდებლობას რომ მისტიროდეს. საკუთარ თავს დასტიროდა, ის შეცდომები გაახსენდა, კასრში ერთ დიდ ფაილში რომ ძევსა.

ეგეთი შეცდომები კიდევ ბევრს გაახსენდება, ოღონდ მაშინ, როცა ოდესის გუბერნატორი ინებებს. გაახსენდებათ ნაცებს, ქოცებს, თავისუფალ დემოკრატებს, ახალ მემარჯვენეებს, ძველ ბოზებს...

აბა, 21 ათასი ფაილი რა ბედენაა? 21 ათას ეპიზოდს თვეში იღებდნენ და თითოს რამდენიმე ეგზემპლარად ინახავდნენ. რამდენი თვე იყო იმ 9 წელიწადში?

ალექსი ახვლედიანი... ეს სახელი და გვარი პირველად გასულ კვირაში გავიგე. ეგ ყოფილა ახალგაზრდული ოლიმპიადის შეფ-პოვარი. სულ ვფიქრობდი, ვინ ხელმძღვანელობს ამ საქმეს, რატომ არის, ამხელა ფულს რომ ეზიდება ერ2-ში-მეთქი? თურმე, გვარამიას მეგობარი ყოფილა. ასჯერ მაინც ვარ გვარამიასთან ნამყოფიო.

ჰოოო... მართლაც ცოცხალი ორგანიზმია ენა.

რას წარმოვიდგენდი, თუ „მეგობარი“ და „ყოფნა“ სულ სხვა დატვირთვას შეიძენდა.

გაგიჟდები კაცი!!!

ისა და... „კაცი“ ხომ ჯერ კიდევ კაცს ნიშნავს და არა რამე სხვას, მაგალითად ნიკა გვარამიას, გიორგი ჯ. გაბუნიას, გურამ დონაძეს და მიხეილ საააკაშვილს?

ყოველი შემთხვევისთვის, თავს დავიზღვევ და ასე ვიტყვი: გაგიჟდები ადამიანი!

ჯერ ხომ ადამიანები ვართ? ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია?

d.s. (ძმაო, ალემაო) „არა, ჩემო დაო, ფელპს, — ამბობდა ის, — ეგ თქვენი ქოხი სულ დავთვალიერე და დავრწმუნდი, რომ თქვენი ზანგი გიჟი ყოფილა. ჩვენს დას, დემრელსაც ასე ვუთხარი... ხომ გითხარი, დაო, დემრელ? გიჟი ყოფილა-მეთქი, სწორედ ეს სიტყვები ვიხმარე. ყველას ესმოდა, როდესაც ვამბობდი: ყველაფრით ეტყობა, რომ გიჟი ყოფილა-მეთქი. შეხედეთ ამ წისქვილის ქვას. განა ვისაც ჭკუა აქვს, წისქვილის ქვაზე დაიწყებს აბდაუბდის ფხაჭნას?! „აქ ამ ადამიანს გული გაუსკდა, აქ ვიღაც ლუის უკანონო შვილი ოცდაჩვიდმეტი წელი წვალობდა“-ო. სულ ასეთი გაუთავებელი აბდაუბდა სწერია. მთლად გიჟი ყოფილა; თავიდანაც ესა ვთქვი, მერეც მაგას ვამბობდი დ ყოველთვის ამას ვიტყვი“.

(მარკ ტვენი,
„ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“)

მარგველაშვილი საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს?!

რას ნიშნავს კანონის ენაზე სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და რა ბერკეტები აქვთ პრეზიდენტსა და ოპოზიციას ესკალაციის თავიდან ასაცილებლად

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ერი ქიბარ ხალვაშისა და „რუსთავი 2“-ის ფინალური სასამართლო სხდომის მოლოდინშია, რომელიც დღეს, 26 ოქტომბერს უნდა განახლდეს. ყველა თუ არა, ორი პოლიტიკური ძალის დასახელება მაინც შეიძლება, ვინც ამღვრეულ წყალში პოლიტიკური ქულების „დაჭერას“ აპირებს. სამწუხაროდ, ერთი მმართველი გუნდია, რომელიც მის შიგნით არსებულ დაპირისპირებას უკვე აღარც მალავს, მეორე კი — მთავარ ოპოზიციურ ძალად აღიარებული ნაციონალური მოძრაობა. ამ უკანასკნელს, ალბათ, ურჩევნია, საკუთარი ოფისები და თანამშრომლები დაიცვას გახშირებული თავდასხმებისგან, თუმცა „რუსთავი 2“-ის დაცვას უფრო საშურ საქმედ მიიჩნევს და პროცესების რადიკალიზებას ცდილობს. დაიწყო საუბარი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საჭიროებაზეც. თუმცა სხვა საკითხია, სად გადის ზღვარი პოლიტიკურ განწყობას, რიტორიკასა და იმ რეალურ კანონებს შორის, რომელთა მიხედვითაც, ქვეყნის აბსოლუტურად ყველა სახელისუფლო შტო საგანგებო მდგომარეობაზე უნდა გადავიდეს...

რამდენიმედღიანმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ პიკს პრემიერისა და პრეზიდენტის განცხადებების შედეგად მიაღწია. მთავრობა 22 ოქტომბერს ზედმეტად მშვიდი ჩანდა, პრეზიდენტი — ზედმეტად შეშფოთებული. სწორედ გიორგი მარგველაშვილის საგანგებო განცხადებამ დაუდო სათავე „რუსთავი 2“-ის გარშემო არსებული დავის ახალ რაკურსში გადატანას — ოპოზიცია უკვე შენობების პიკეტებზე, უვადო აქციებსა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობაზე ალაპარაკდა. ყოველ შემთხვევაში, ნაციონალების გეგმები **გიორგი გაბაშვილმა** ასე ჩამოაყალიბა: **„დავიწყებთ ფართო საპროტესტო მოძრაობას, მასობრივ მანიფესტაციებს და ეს არ იქნება ერთჯერადი, ხალხმრავალი პროტესტი, არამედ, მიიღებს გრძელვადიანი, პერმანენტული აქციის სახეს და მოხდება სამთავრობო შენობების პიკეტირება. თუ ბიძინა ივანიშვილი საბოლოოდ გადაწყვეტს „რუსთავი 2“-ის განადგურებას, ჩვენ ვაიძულებთ ხელისუფლებას, საპროტესტო მოძრაობის შედეგად, უკან დაიხიოს!“** პრეზიდენტმა მარგველაშვილმა კი განაცხადა: **„ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა კონსტიტუციური წესრიგის დარღვევისა და სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობა შექმნა... არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ვიწყებ კონსულტაციებს პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსთან, რათა შევინარჩუნოთ სამოქალაქო სტაბილურობა, მშვიდობა და კონსტიტუციური წესრიგი ჩვენს ქვეყანაში“.** ამ განცხადებიდან მალევე, პრეზიდენტი ნაციონალური მოძრაობის, თავისუფალი დემოკრატების, ახალი მემარჯვენეების, თავისუფალი საქართველოს, ევროპელი დემოკრატების, სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისათვის, ალიანსი თავისუფლებისათვის და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერებს შეხვდა. რეზიდენციაში სამსჯელოდ მივიდნენ პოპულარული მედიასახეები, ასევე არასამთავრობო სექტორისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც, მაგრამ არ მივიდა ის, ვინც ქვეყანაში კონსტიტუციურ წესრიგზე აგებს პასუხს. პრემიერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ისევე, როგორც „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ, მარგველაშვილის პერსონალური მიწვევა არ მიიღო და შესაბამისად, პრეზიდენტის „ანტიკრიზისული გეგმა“ მხოლოდ ნაციონალებისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის ამარა დარჩა. მაინც, როგორია პრეზიდენტის მიერ დანახული რეალობა, ან ნიშნავს თუ არა „კონსტიტუციური წესრიგის დარღვევისა და სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობა“ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ანონსს?! რას ნიშნავს მსგავსი განცხადებები კანონის ენაზე და რა ბერკეტები აქვთ ამ ვითარებაში პრეზიდენტსა და ოპოზიციურ სპექტრს, ჯერ შევეცადეთ გაგვერკვია, რა თემებზე შედგა კონსულტაცია პრეზიდენტის სასახლეში და ამ ფართომასშტაბიანი თათბირის შედეგად, რაზე შეთანხმდნენ პოლიტიკური ძალები. პირველ რიგში, აღმოჩნდა, რომ ნაციონალებისა და არასაპარლამენტო ოპოზიციისგან განსხვავებით, ირაკლი ალასანიას პარტია ქუჩის მასობრივ აქციებს გამოსავლად არ მიიჩნევს, თუმცა პრეზიდენტის განცხადების პათოსი **ირაკლი ჩიქოვანმა** სრულად გაიზიარა:

„პრეზიდენტმა სწორად აღნიშნა, რომ წაქეზების შემთხვევაში, ვითარება შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ეს ქვეყნის კონსტიტუციურ წყობას შეარყევს, რაც მარტო ერთ პარტიას კი არა, მთელ ქვეყანას მიაყენებს დარტყმას. ამიტომ პრეზიდენტის მოწოდება სავსებით მისაღები და ადეკვატურია. ვიზიარებთ პოზიციას, რომ მოვლენებმა ქუჩიდან შენობებში უნდა გადაინაცვლოს. 2012 წელს ვნახეთ, რომ ნებისმიერი ტიპის ხელისუფლება მშვიდობიანი არჩევნების გზით შეიძლება შეიცვალოს, ამიტომ აუცილებელია, 2016 წლის არჩევნებამდე მივიდეთ. თუმცა ფაქტია, ხელისუფლებამ ყველა კითხვასა და ბუნდოვან, გაურკვეველ საკითხს ამომწურავი პასუხი უნდა გასცეს. თუ ეს ვერ მოახერხა, მძიმე შედეგს მიიღებს. ნაციონალების ოფისების დარაჯად ვერ გამოვდგები, მაგრამ რაც ხდება, მართლაც დანაშაულია, ხოლო მმართველი პარტიის ლიდერმა უნდა თქვას, რომ თუ ამ ყველაფერში „ოცნების“ აქტივისტები რაიმე ფორმით მონაწილეობენ, დანაშაულზე პასუხიც უნდა აგონ. თუ ასე არ მოხდა და ყველამ ინდივიდუალურად გადაწყვიტა სამართლიანობის დამყარება, ქაოსამდე მივალთ. ასეთ ქაოსში გამარჯვებულ ძალას საერთოდ ვერ ვხედავ!“ კიდევ ერთი ოპოზიციონერი კი, რომელმაც პრეზიდენტთან კონსულტაციებში მიიღო მონაწილეობა, ამტკიცებს, „ოცნება“ პოლიტიკური პროცესის ქუჩაში წარმართვას თავად ცდილობს. **ზურაბ ხარატიშვილის** თქმით, ოპოზიცია პრეზიდენტთან „ცხელ ხაზზე“ დარჩება და ვითარების შესაბამისად იმოქმედებს: **„მოვლენების ესკალაცია შეიძლება, „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას აწყობდეთ, მაგრამ არ აწყობს საქართველოს. ამიტომ ძალისხმევა იქეთ უნდა მივმართოთ, პროცესი კონსტიტუციურ ჩარჩოებს მართლა არ გასცდეს. ასეთი სერიალები უკვე ნანახი გვაქვს, ამიტომ ისიც უნდა გვახსოვდეს, რა ხდება „მეორე სერიაში“. ფაქტობრივად, მთავრობამ, პრემიერის თამადობით, თავად დაიწყო დანაშაულებრივი ქმედებები. ეჭვს არ იწვევს, რომ წამების კადრების გამოქვეყნება, ოპოზიციური პარტიის ოფისზე თავდასხმები და ა.შ. პირდაპირ ხელისუფლების მაღალჩინოსნების მითითებით ხდება. პროცესის ქუჩაში გადატანა ჩვენს ინტერესებში ნამდვილად არ შედის, მაგრამ ამას ხელისუფლება ძალიან ცდილობს და ზოგიერთი ოპოზიციური პარტია იძულების წესით მიჰყვება. გავიხსენოთ, 1991 წლის 2 სექტემბერი — როგორ დაიწყო ყველაფერი ერთი პატარა მიტინგითა და ჰაერში გასროლით. ჰოდა, ვისაც გვახსოვს, ამის გამეორება აღარ გვინდა. „ოცნება“ თავად ცდილობს დესტაბილიზაციას, რაც დიდი ინფანტილიზმი და იდიოტიზმია. მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს, ხელისუფლება ძალაუფლების შესანარჩუნებლად მიტინგებს მართავდეს და ოპოზიციას ამით აშინებდეს. დღეს ასე ხელისუფლების „ტიტუშკები“ მოქმედებენ, რაც აგონიის ნიშანია. „ოცნებას“ რომ 50 და 60%იანი რეიტინგი ჰქონდეს, ეს რადიკალიზმი უფრო გასაგები იქნებოდა. 10%-იანი რეიტინგის პირობებში კი, არათუ რომელიმე აქციას დაარბევენ, ხელსაც არ მოიქნევენ, თუ ჭკუა აქვთ, თორემ „ოცნება“ მაშინვე დამთავრდება! 26 ოქტომბრის სასამართლოს შემდეგ კი, ვითარებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ. თუ ხელისუფლება ზღვარს არ გადალახავს, ყველანაირად ვეცდებით, პროცესები ქუჩაში არ გადავიდეს. თუმცა არ ვიცი, ამას რამდენად მოვახერხებთ“.** არის თუ არა რეალური პოლიტიკური კრიზისი და საკმარისად დაძაბული ვითარება საგანგებო მდგომარეობის გამოსაცხადებლად, ზოგადად, რას ნიშნავს საგანგებო მდგომარეობა, რა კავშირი აქვს მას პრემიერის, მთავრობის, პარლამენტის შეცვლასა და ვადამდელ არჩევნებთან, ვინ, როგორ და რა შემთხვევაში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას და რა რეალური ბერკეტები გააჩნია პრეზიდენტს, დღევანდელი კონსტიტუციით, მოვლენებში ასეთი გარდატეხა შეიტანოს? — ამ კითხვებით „ვერსიამ“ „მომავლის ინიციატივების“ დამფუძნებელს, იურისტ **ლევან ალაფიშვილს** მიმართა:

„კონსტიტუცია პრეზიდენტს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლებას, მართლაც, ანიჭებს, ოღონდ აქ რამდენიმე პირობა და დათქმაა ჩადებული. ამას იმ პოლიტიკოსების გასაგონად ვამბობ, ვინც ამ ხაზის გაგრძელებით, ვადამდელ არჩევნებს ან სხვა პოლიტიკურ მოქმედებებს გეგმავს! აჯობებს, ცოტა მეტი კანონი წაიკითხონ, რადგან კონსტიტუციაში წერია:

> **თუ ჩათვლის, რომ კონსტიტუციურ წესრიგს საფრთხე ემუქრება, პრეზიდენტს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება აქვს, თუმცა ეს გადაწყვეტილება მის აღსრულებას არ ნიშნავს ანუ ეს პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლება არაა. პრეზიდენტს ამ პროცესის მხოლოდ დაწყება შეუძლია, მეორე ნაბიჯია მთავრობასა და პრემიერთან შეთანხმება და თუ ეს ორივე შტო შეთანხმდა, მაშინ საჭიროა პარლამენტის თანხმობა.**

ასევე, უნდა განისაზღვროს საგანგებო მდგომარეობის ვადა და ტერიტორია. ისე, გადაეცით პოლიტიკოსებს, რომ საგანგებო მდგომარეობა 2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომის შემდეგ, ოკუპაციის კანონის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში ისედაც მოქმედებს, ამიტომ ზედმეტი არეულობა აღარ უნდათ, თუმცა ეს არჩევნების დანიშვნის საკითხზე მაინც გავლენას არ ახდენს. ამასთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება მთავრობის გადადგომის საფუძველი არაა და არც პარლამენტის დათხოვნას ნიშნავს. ვადამდელი არჩევნების გამომწვევი ერთადერთი შემთხვევაა, თუკი მთავრობა და პარლამენტი ბიუჯეტზე ვერ თანხმდება. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტს შეუძლია, ან ერთი გაუშვას, ან მეორე.

საგანგებო ან საომარ მდგომარეობაში არც მთავრობის და არც პარლამენტის დათხოვნა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა არ შეიძლება! თან, ძალიან სასაცილოა, რა ნიშნით უნდა გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა — ღმერთმა დაგვიფაროს და, ახლა არც ეკოლოგიური კატასტროფაა, არც ეპიდემიები და ა.შ. ის, რაც დღეს ხდება, ნამდვილად არასტაბილური ვითარება და ორი პოლიტიკური სუბიექტის მხარდამჭერებს შორის პოლიტიკური ბრძოლის ჩარჩოებიდან გასული ურთიერთობაა, მაგრამ ეს არ არის მასობრივი არეულობა და სამოქალაქო დაპირისპირება!“

კითხვაზე, რას ნიშნავს სამოქალაქო დაუმორჩილებლობა კანონის ენაზე, ლევან ალაფიშვილი ასე პასუხობს: **„ერთია, როცა განცხადება სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ ფიგურალური გამონათქვამი და პოლიტიკური პოზიციაა. მაგალითად, პატივს არ ვცემ სახელმწიფოს მეთაურს, რომელიმე პოლიტიკოსს და ა.შ. კანონით კი იმას ნიშნავს, რომ კანონის დარღვევაზე მიდიხარ და არ ემორჩილები სამართალდამცავ სტრუქტურებს, პატრულს, სასამართლო გადაწყვეტილებას, მის აღსრულებას... სწორედ ესაა კანონის ჩარჩოდან გასვლა და კანონგარეშე ქმედება. ასე რომ, ეს ის გზა არ არის, რომელიც ქვეყანას ან რომელიმე პარტიას გააძლიერებს. ასეთ ქმედებებს მხარდაჭერა არც ქვეყნის შიგნით ექნება, არც ქვეყნის გარეთ“.**

ვერსიანიუსი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების მუხლით გამოძიება დაიწყო

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიება დაიწყო.

როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში აცხადებენ, გამოძიება საქართველოს სსკ-ს 315-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს შეთქმულებას სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ს 315-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს შეთქმულებას სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად. დაწყებული გამოძიების ფარგლებში ჩატარდება ყველა საჭირო ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები“, — აცხადებენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

მედიაში რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, თითქოსდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს გიგა ბოკერიას 22 ოქტომბერს, სტამბოლის ათა-თურქის აეროპორტში ესაუბრა. საუბრის სტენოგრამაში სააკაშვილისა და ბოკერიას მიერ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მომზადების გეგმაზეა საუბარი. მედიით გავრცელებულ სტენოგრამაში ასევე ნახსენებია საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც.

„ვერსიანიუსი“

ბიძინა ივანიშვილი: „მარგველაშვილს მოუწევს განმარტებების გაკეთება!“

ეს განცხადება საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა, როცა ქვეყანაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის განცხადება გააკრიტიკა.

ივანიშვილის შეფასებით, ყველა პოლიტიკოსი, რომელიც სამოქალაქო დაპირისპირებაზე საუბრობს, „დაუძლურებულ“ ნაციონალურ მოძრაობას უჭერს მხარს.

„ნებისმიერ პოლიტიკოსს, რომელიც ხატავს სიტუაციას, რომ სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მიდის ქვეყანა, უნდა, რომ მხარი მხოლოდ ამ დაუძლურებულ ძალას დაუჭიროს და „გააპრავოს“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა, რომელსაც ეჭვები აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში გიორგი მარგველაშვილის განცხადება დადებითადაა შეფასებული. აღნიშნულ საკითხზე საუბრისას ივანიშვილმა აშშ-ში საქართველოს ყოფილი ელჩი თემურ იაკობაშვილი ახსენა: **„აბა, ნახეთ, მარგველაშვილის განცხადების შემდეგ, 2 საათში, „ნიუ იორკ თაიმსი“ აქვეყნებს სტატიას და აქებს პრეზიდენტს. ვისი გაკეთებულია ეს? მარგველაშვილს სად აქვს ამის რესურსი? — არ დაგვავიწყდეს იაკობაშვილი, რომელიც დღემდე რჩება აშშ-ში ნაციონალური მოძრაობის ელჩად ან ვინმე ამის მსგავსი. „ნიუ იორკ თაიმსში“ სტატიის გამოქვეყნება არ არის იოლი და ამ შემთხვევაში კი, 5 წუთში გამოქვეყნდა.“**

ყოფილი პრემიერის თქმით, მარგველაშვილთან კამათის ერთ-ერთი საკითხი ბობოყვათის აგარაკი იყო: **„მიუხედავად იმისა, რომ არის უკვე გარემონტებული და გამზადებული სასახლე, რომელშიც არ შედის, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამაც მიანიშნა, რომ იქ გეკუთვნისო, ამბობს, რომ ეს არის ჩვენი პირადი დაპირისპირების პრობლემა და აქ არ არის არც კვადრატულ მეტრზე და არც გადასახადებზე საუბარიო. ასეთი ცინიკური განცხადება იშვიათი შეიძლება ნახოთ. ე.ი როდესაც კანონთან ფეხი წაუცდებათ და მოსთხოვენ, კანონს დაემორჩილონ და არა — ივანიშვილს, იმ წუთშივე ივანიშვილს იყენებენ საფუძვლად და ამ მხრივ მარგველაშვილიც კარგ პოპულარიზაციას მიწევს, ამბობს, რომ მე ვიცავ ჩემს, როგორც მოქალაქის უფლებას და არ დავემორჩილები ამას. ამბობს, ეს პირადი დაპირისპირების მიზეზიაო, თორემ რა შუაშია კვადრატული მეტრობა. 9-10 მილიონი რა არის ჩვენი საზოგადოებისთვისო, ეს მას არ უთქვამს, მაგრამ იგულისხმება. მე რა მაქვს დასაპირისპირებელი მარგველაშვილთან ან სხვასთან. გადაცდომა ვისაც აქვს, ყველას მივანიშნებ და მათ რიცხვში მარგველაშვილსაც. რომ აიკვიატეს, ინსტიტუტს აკნინებსო, ეს სასაცილოა... რას ნიშნავს, პრეზიდენტის ინსტიტუტი კნინდება? მე ვუყენებ მას შეკითხვებს და ამ შეკითხვებზე არც ერთი კორექტული პასუხი არ მიმიღია. როცა სათქმელი არ აქვთ, ყველაზე იოლი ნახეს ივანიშვილი. აი, ივანიშვილს რომ არ ეთქვა, მე გადავიდოდიო, ის ერთი კაცი რომ აწესებსო, მე მოქალაქეებს ვიცავ, ეგრე კი არ არის საქმეო. მე შევახსენებ, ეს იყო არჩევნებამდე მარგველაშვილი, რომელმაც ერთადერთი პირობა დამიყენა, როდესაც საუბარი მიდიოდა მის საპრეზიდენტო კანდიდატობაზე, რომ მე დაცვით არ ვივლი, დაცვის გარეშე უნდა ვიარო და ხალხთან ახლოს უნდა ვიყო, დანახარჯებიც არ უნდა იყოსო. ამის შემდგომ რაც გარეთ არ გამომიტანია და ერთ-ერთს გავიხსენებ კიდევ და ბევრს კიდევ გარეთ გამოვიტან და დავხატავ სურათს, რეალურად რა ხდება. ერთ-ერთი კამათის საგანი, სანამ ჩვენ დავშორდებოდით, იყო ბობოყვათის აგარაკი, ვუთხარი, მეტი აღარ დარეკო-თქო და დავემშვიდობე. მან მოისურვა ეს აგარაკი. მე ვეუბნები, როგორ უნდა იკადრო, როგორ შეიძლება ბობოყვათის აგარაკი? რა ვქნა, ბიძინა, მეუბნება, ექვსი რეზიდენცია ჩავაბარეო. მე ვუთხარი, ჯერ ერთი, შენ არ ჩაგიბარებია ეგ აგარაკები და მერე მეორე, ბაბუაშენს არ დაუტოვებია შენთვის, არავითარი აგარაკი არ გეკუთვნის და არც არავინ მოგცემს-მეთქი, ეგ არ არის შენი.“.**

მისივე თქმით, გიორგი მარგველაშვილის 140 კამერასთან დაკავშირებითაც ეკამათა.

„თუ გავიხსენებეთ პრეზიდენტობამდე ამ კაცის პოზიციას, რომ მას უნდოდა, დაცვის გარეშე ევლო. ეს კაცი იმ მარგველაშვილს უპირისპირდება, რომელიც მარგველაშვილი არ იყო. დღევანდელი პრეზიდენტი მარგველაშვილი დაპირისპირებაში ივანიშვილთან კი არაა, იმ მარგველაშვილთანაა, რომელიც პრეზიდენტობამდე იყო. საკუთარ ხასიათს უპირისპირდება ეს კაცი“, — განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა, მარგველაშვილს „არაფრის პასუხი არ მოეთხოვება, არაფრით დატვირთული არ არის, არავითარი დიდი სტაფი მას არ ჰყავს“.

„პრეზიდენტის ინსტიტუტი არის ერთ-ერთი ინსტიტუტი ჩვენი ქვეყნის მოწყობის, მას აქვს უფლებები, რაც აქვს კონსტიტუციით. ის გუნდს მეორე დღესვე დაუპირისპირდა, ალბათ, გინესის წიგნში შევა. მსგავსი არ ახსოვს პოლიტიკას. პოლიტიკიდან გამოდის ხალხი, მაგრამ აქვთ ამის საფუძველი. ის მოვიდა თუ არა, მეორე დღესვე დაუპირისპირდა გუნდს“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ამავე ინტერვიუში ყოფილი პრემიერი „რუსთავი 2“-ის გარშემო შემნილ ვითარებასა და ბოლო დროს გავრცელებულ წამების ამსახველ კადრებსაც შეეხო და აღნიშნა: **„ვაჟბატონი გვარამია, მთავარი პროკურორის მოადგილე გახლდათ, როდესაც ამ კადრებს იღებდნენ, როგორც მაშინ იდგა კანონიერების სადარაჯოზე გვარამია, სწორედ ისე დგას დღეს თავისუფალი სიტყვის სადარაჯოზე“.**

მისივე თქმით, პირადი ცხოვრების და წამების ამსახველი კადრები, რომლებიც გავრცელდა, მას არ უნახავს, თუმცა საზოგადოების რეაქციიდან იცის, რომ ისინი ძალიან მძაფრი იყო.

„გახსოვთ, როდესაც ხვედელიძე რეალურად ჩვენი შტაბის უფროსი იყო და ჩემთან ძალიან ახლოს იყო, მინისტრის პირველი მოადგილე იყო, მან გამოაქვეყნა, ყოველ შემთხვევაში თავის დროზე ასე დაადგინა გამოძიებამ, რაღაც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მიერ იყო გადაღებული და ნახეთ ჩვენი რეაქცია. მე ვიყავი მაშინ პრემიერ-მინისტრი, როგორ დაუზოგავად მოვექეცით გუნდის წევრს განსხვავებით ნაციონალური მოძრაობისგან. მათი იდეოლოგია არის, რომ თავი შეინარჩუნონ მხოლოდ. ნახეთ, როგორი თამაშის წესები დავაწესეთ, როდესაც მოვედით მთავრობაში — ჩვენ ვემსახურებით საზოგადოებას. ჩვენ ვართ არჩეული საზოგადოების მხრიდან, ჩვენ უნდა ვემსახუროთ მთელ ხალხს და არა ერთ გუნდს და არა ერთ მუშტს და ამისთვის გუნდის საუკეთესო წევრი ჩვენ არ დავზოგეთ. თუ დამტკიცდება და არის ეჭვები, რომ ვიღაც მთავრობის წევრმა კადრების გავრცელებაში მიიღო მონაწილეობა, რეაქცია იქნება ადეკვატური. კატასტროფა იყო ის, რაც ნაციონალური მოძრაობის დროს ხდებოდა. ნაციონალური მოძრაობის მსჯელობით მიდის ახლა იმაზე საუბარი, რომ ყველაზე დიდი დანაშაული არის მისი გავრცელება და არა ის, რაც მისი შიგთავსი“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის თქმით, როდესაც დაითვალეს ხარჯები პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გადაღებისთვის, აღმოჩნდა, რომ 100 მილიონზე მეტია დახარჯული კადრების გადასაღებად.

„ვინ არის გვარამია და რა უნდა? — ის არის მენეჯერი, მესაკუთრე არაა. ყარამანაშვილები სახელდებიან მფლობელად. კეზერაშვილზე უნდოდათ შუა პროცესში გადაფორმება, რა შუაშია გვარამია? გვარამია არის იმ შუაში, როგორც ამ საშინელი კადრების გადაღების დროს იყო. რა დღეში ჰყავდა საქართველოს მოსახლეობა. ეს ვაჟბატონი იყო მთავარი პროკურორის მოადგილე და იდგა კანონის სადარაჯოზე. ამის შემდეგ დგას თავისუფალი სიტყვის სადარაჯოზე. ეს შეურაცხმყოფელია, ალბათ, თქვენთვისაც. ასე ხატავენ, რომ თუ „რუსთავი 2“-ს რამე დაემართა, თავისუფალი სიტყვა დაინგრევა. „მაესტროს“ ვინმე ზღუდავს? „პირველი არხი“ ნახეთ. ამ არხს საინფორმაციოს უფროსი არ ჰყავდა, ახლა დანიშნეს ვინმე გვიმრაძე, რომელიც ჩვენი ოპონენტია“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისი თქმით, ის, რომ ნიკა გვარამიამ ბოდიში მოიხადა მიუღებელია, რადგან იმ ხალხს, რომელიც გააუბედურეს, ბოდიში ვერ უშველის.

„ის არის მენეჯერი და მან ჟურნალისტებზე უნდა იზრუნოს. ვიცით რეალური მფლობელი — ეს არის ნაციონალური მოძრაობის მანქანა. გვარამია როგორც მაშინ ემსახურებოდა სისტემას, ისევე იცავს ნაციონალური მოძრაობის სააგიტაციო მანქანას“, — განაცხადა ივანიშვილმა.

სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილი იმედოვნებს, რომ მომავალ პარლამენტში „ქართული ოცნების“ გუნდის ნახევარი ადგილებს შეინარჩუნებს.

ივანიშვილის თქმით, დღევანდელ პარლამენტში „ქართული ოცნების“ თითეული წევრი ღირსეულია და მათ პატივს სცემს მათი დამსახურებების გამო, თუმცა, მიიჩნევს, რომ საპარლამენტო გუნდი უნდა გადახალისდეს. იგი უნდა დაკომპლექტდეს ისეთი წევრებით, რომლებსაც კანონწარმოების პროცესში მონაწილეობა შეუძლიათ.

ასევე, ივანიშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პარლამენტში უჭირთ ისეთი დეპუტატები, რომლებიც ინგლისურ ენას კარგად ფლობენ.

„მომავალ არჩევნებში „ქართული ოცნების“ ძალიან აქტიური მხარდამჭერი ვიქნები. ამით მე არავითარ კანონს არ ვარღვევ. როგორც მოქალაქეს, ამის უფლება მაქვს. ყველა ჩემი რესურსით მაქსიმალურად მხარს დავუჭერ „ქართულ ოცნებას“. მსგავსი განცხადება მათთან გავაკეთე. ჩემს თანაგუნდელებს ისიც შევახსენე, რომ თითოეულ მათგანს პატივს ვცემ. პარლამენტში ბევრი გამოჩენილი პიროვნებაა, სპორტსმენი, მეცნიერი თუ საზოგადო და ხელოვნების მოღვაწე. თითოეული მათგანი ღირსეულია და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ პარლამენტი, რა თქმა უნდა, უნდა შეიცვალოს. გუნდის წევრებად უნდა დარჩნენ ყველანი და იმედი მაქვს, ასეც მოხდება. ინგლისურენოვანი გვიჭირს, რომ ევროპაში გავგზავნოთ. რა თქმა უნდა, განათლებული, უფრო დახვეწილი უნდა მოვიდეს“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

სატელევიზიო გამოსვლისას ყოფილმა პრემიერმა კიდევ არაერთ საინტერესო საკითხზე გაამახვილა ყურადღება.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ არასდროს შევეგუებით ოკუპაციას“

„არაფრის ფასად არ დავთმობთ ერთ გოჯ მიწასაც კი“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მარტვილში სტუმრობისას განაცხადა.

ამ კონტექსტში მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველო არასდროს შეეგუება ოკუპაციას, თუმცა მისივე აზრით, ტერიტორიული მთლიანობის დაცვა „გონივრული პოლიტიკით და არა აგრესიული რიტორიკით“ უნდა მოვახერხოთ.

„ჩვენ არასდროს შევეგუებით ოკუპაციას. ბოლომდე ღირსეულად დავიცავთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. არაფრის ფასად ქართველი კაცი, არასდროს დათმობს არც ერთ გოჯ მიწას. მაგრამ ჩვენ ეს უნდა მოვახერხოთ გონივრული პოლიტიკით და არა ყვირილით, აგრესიული რიტორიკით. ამას სახელმწიფოები ახერხებენ სხვანაირად — მშვიდობიანი, მოლაპარაკებების გზით და გონივრული და პრაგმატული პოლიტიკის წარმოებით“, — აღნიშნა პრემიერმა.

„ინტერპრესნიუსი“

ილია მეორე მიმართავს ყველას, რომ საკითხები ქუჩებში კი არა, დარბაზებში განიხილონ

როგორც პატრიარქმა სამების ტაძარში საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, ერში და პოლიტიკურ პარტიებს შორის არის დაპირისპირება. ილია მეორე ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდებს.

„ჩვენ ვცხოვრობთ რთულ დროს, როცა მრავალი პრობლემაა. არის დაპირისპირება ერში, პოლიტიკურ პარტიებს შორის. მინდა ყველას ვთხოვო, რომ ამა თუ იმ საკითხის განხილვა არ უნდა იყოს ქუჩებში. დარბაზებში უნდა დასხდეთ და ესა თუ ის საკითხი მშვიდად განიხილოთ. ჩვენ უნდა გვქონდეს მოთმინება და სიმშვიდე, სადაც სიმშვიდე არ არის, იქ ჭეშმარიტება ვერ გაიმარჯვებს“, — განაცხადა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას.

პატრიარქმა აღნიშნა ისიც, რომ არ უნდა დაგვავიწყდეს, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

„ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა საქართველოს თავისი კალთა გადააფარა და ვერავითარი შინაგანი თუ გარე მტერი საქართველოს ვერაფერს დააკლებს“, — განაცხადა ილია მეორემ.

„ინტერპრესნიუსი“

„ცოლი არ მყავს და ვერ დამაშანტაჟებთ!“

ვინ და რის სანაცვლოდ სთავაზობდა მილიონ დოლარს ჯაბა ჯიშკარიანს

ვანო პავლიაშვილი

...ამას წინათ, ერთ-ერთი ტელევიზიის ერთ-ერთი გადაცემის ჩაწერაზე შევხვდი და მაშინვე გადავწყვიტე, არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ ჩამეწერა, თან ის, რაც ბოლო დროს ნაცმოძრაობის ოფისებთან ხდება, რაღაცნაირად მის ბეგრაუნდს ჰგავს — მთელი 9 წელი მიშას ხან სუშიბართან „უსატკავებდა“, ხან სად და ხან კიდევ — სად... მოკლედ, თბილისის საკრებულოს პრესსამსახურის არაჩვეულებრივმა ხელმძღვანელმა, თამუნა გვაზავამ შეხვედრა შემითანხმა და დათქმულ დროს საკრებულოში გამოვცხადდი, მაგრამ... ამაოდ: თამუნამ მომიბოდიშა, ერთი საათი დააგვიანდებაო. ერთ საათს ვერ დაველოდებიმეთქი და შეხვედრა მეორე დღისთვის დავთქვით, თუმცა მეორე დღესაც გვარიანად მალოდინა... ცოტა კი გავბრაზდი, მაგრამ ლოდინი თუნდაც იმიტომ ღირდა, რომ გავარკვიე: წარსულში სამოქალაქო ფრონტისა თუ სხვა ანტიმიშისტური ორგანიზაციების სულისჩამდგმელი, ამჟამად კი, დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოში „ოცნების“ მთაწმინდის მაჟორიტარი ჯაბა ჯიშკარიანი, ნიკა გვარამიასი არ იყოს, ალექსი ახვლედიანის მეგობარი ყოფილა. ახლა არ მკითხოთ, ეს ახვლედიანი ვინღააო. ვინაა, ბატონო და, აი, ის, „რუსთავი 2“-ის გენდირექტორს, თურმე, სამთავრობო მესიჯებს რომ აწვდიდა, გაჩერდი, თორემ კონკრეტული ურთიერთობის ვიდეოს გამოგიქვეყნებთო... წავიინტრიგანე და ვკითხე, რომ გითხრათ, თქვენზე კონკრეტული ურთიერთობის ვიდეო მაქვს, რას იზამთ-მეთქი? გაინტერესებთ, როგორი რეაქცია ჰქონდა და რა მიპასუხა? — ამიტომ, არ ინანებთ, თუკი რამდენიმე წუთს „დაკარგავთ“ და ჯაბა ჯიშკარიანის არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს წაიკითხავთ...

— ...ჯაბა, არაპუნქტუალური ხართ?

— არ ვიცი... მგონი, არა...

— ზუსტად, 23 წუთია, გელოდებით...

— საცობში მოვყევი...

— ცოტა ადრე უნდა გამოსულიყავით... ამ საღამოს კონცერტზე მიდიხართ?

— „რუსთავი 2“-ის კონცერტზე?

— დიახ...

— არა, რადგან ვფიქრობ, ეს არაა კონცერტი კონცერტისთვის, ეს უფრო პოლიტიკური მესიჯების გამშვები ღონისძიებაა, რომელიც ნაცმოძრაობის უკანასკნელი ამობღავილი და მისი ერთ-ერთი კლიშეა, ამიტომ იმ ბოროტების პროპაგანდაში, რასაც დღეს კერძო კომპანია კი არა, ნაცმოძრაობა განახორციელებს, მონაწილეობას არ მივიღებ.

— დავაკონკრეტოთ: „რუსთავი 2“ ბოროტებაა?

— „რუსთავი 2“ იმ ბოროტების პროპაგანდაა, რასაც ადამიანის გაუპატიურება, ღირსების წართმევა ჰქვია და რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ამასთან, „რუსთავი 2“ დეზინფორმატორია. აქედან გამომდინარე ქართული საზოგადოება, მგონი, კარგად ხედავს, ეს არხი რა საქმიანობას ეწევა.

— რაც საკრებულოს წევრი გახდით, „რუსთავი 2“-ზე გამოსულხართ?

— „რუსთავი 2“-ის ეთერში საერთოდ არ ვარ ნამყოფი.

— ესე იგი, გაბოროტებული და გულნატკენი ხართ...

— (იღიმება) არა, არა... ეს რა შუაშია? დამიჯერეთ, ასეთი ადამიანი არ ვარ...

— მითხრეს, ცოტა ბრაზიანიაო...

— ეს სხვამ შეაფასოს, მაგრამ გაბრაზებული შეიძლება, შენიანზე იყო...

— თავიდანვე უნდა მეკითხა და გამომრჩა: ბატონობით მოგმართოთ?

— (იღიმება) არა... რა ბატონო...

— ერთმანეთს, თუ გადაცემის ჩაწერას არ ჩავთვლით, პირველად ვხვდებით და ამიტომ გკითხეთ... იმ დროს, როცა დაახლოებული იყავით, ირაკლი ოქრუაშვილისთვის არ გიკითხავთ, ბოროტების მანქანას რატომ ემსახურებოდა?

— ირაკლი ოქრუაშვილთან ისე ვიყავი დაახლოებული, როგორც ყველა იმ ადამიანთან, რომელიც მაშინ პოლიტიკურ ორბიტაზე იყო და აქედან გამომდინარე, მათთან ურთიერთობა მეგობრულ კი არა, ფორსმაჟორში მქონდა და ყველანი იმ მოცემულობის ადეკვატურები ვიყავით. ამიტომ, ყველა ძალასა და მოძრაობას ვეპოტინებოდით, რომ ყველაფერი ის შეჩერებულიყო, რაც მაშინ საქართველოში სუფევდა. გულღია და წარსულზე ორიენტირებული საუბრები არავისთან მქონია...

— ოქრუაშვილს „ბოროტების სისტემის“ ერთ-ერთ შემქმნელადაც არ თვლიდით?

— იცით, რა არის? — ამას, ალბათ, უფრო საზოგადოება იტყვის...

— ცხადია, მაგრამ მე ჯაბა ჯიშკარიანის აზრი მაინტერესებს...

— ასე თქმა გამიჭირდება, კონკრეტულად, რას გულისხმობთ, მითხარით და ვისაუბროთ...

— იყო თუ არა ბოროტება, უფრო სწორად, ადამიანის უფლების შელახვა, როცა ოქრუაშვილმა, მაგალითად, ადამიანები საცვლებით არბენინა?

— ეს, გარკვეულწილად, არასწორი ნაბიჯი იყო, რაც პიარკამპანიას ემსახურებოდა. საერთოდ, ეს მათი ხელისუფლების მესიჯი იყო, ირაკლიც იმ ხელისუფლებაში იმყოფებოდა და, ალბათ, იმ პოზიციას, რასაც ნაცმოძრაობის „ბოროტების მანქანა“ ერქვა, იზიარებდა...

— გასაგებია... აწმყოში დავბრუნდეთ: დედაქალაქის კანონმდებელი ჯაბა ჯიშკარიანი ნიკა გვარამიას ბოლოდროინდელ სკანდალურ განცხადებას როგორ აფასებს?

— დედაქალაქის კანონმდებელი არ ვარ. ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ...

— ჩვეულებრივ მოქალაქეს კი არა, პოლიტიკოს ჯაბა ჯიშკარიანს ველაპარაკები!

— კარგი... გვარამიას განცხადებებს სერიოზულად ვერ აღვიქვამ, ვინაიდან ეს მათი უკანასკნელი ამოხავილია, ისინი კუთხეში არიან და ძალიან კარგად იციან, რასაც აკეთებენ. აქედან გამომდინარე, ეს ცარიელი პოლიტიკური მესიჯებია და ნამდვილად ვერ დავიჯერებ, რომ დღევანდელი ხელისუფლების ჭკუათმყოფელი ადამიანი გვარამიას ემუქრება.

— გვარამიამ ე.წ. მესინჯერი დაასახელა, ვინც ხელისუფლების, ასე ვთქვათ, მუქარა გადასცა...

— ალეკო ახვლედიანი?.. არც ამის მჯერა, რადგან ალეკო ჩემი მეგობარია და თვითონაც გააკეთა განცხადება, მესინჯერი არ ვარო.

— უცნაურია: ახვლედიანი ნაცხელისუფლებასთან დაახლოებული იყო და თქვენი მეგობარი როგორაა? როდის დაუმეგობრდით?

— ორი წელია, რაც ოლიმპიადაა...

— და ყველაფერი, თუნდაც ის, რომ ნაცების ძალოვანებში მუშაობდა და სანდრასთან მეგობრობდა, აპატიეთ?

— არ ვიცი...

— არც გაგიგიათ?

— რა გავაკეთო, ადამიანების ცხოვრება გამოვიკვლიო და ისე დავუმეგობრდე?

— არადა, იყო დრო, როცა ჯაბა ჯიშკარიანმა ყველაზე ყველაფერი იცოდა და ყველაფერს იკვლევდა...

— ბოროტების წყაროზე... ალეკო ახვლედიანზე კი ნამდვილად არ მახსენდება, რომ ბოროტების სისტემას ქმნიდა... ასე ნუ მიყურებთ!.. გამახსენეთ ნებისმიერი ეპიზოდი და მზად ვარ, პასუხი გაგცეთ!

— ნებისმიერ კითხვაზე მიპასუხებთ?

— ნებისმიერზე!

— კარგი, ოღონდ რაც უნდა გკითხოთ, არ გაბრაზდებით! ისე, ერთმა ჟურნალისტმა მითხრა, ერთხელ, რაღაც ვკითხე და მას მერე ხმას აღარ მცემსო...

— ვინ? სახელი და გვარი მითხარით...

— ვინაობას მნიშვნელობა არ აქვს და პირდაპირ კითხვას დაგისვამთ: როგორც ვიცი, „ბოროტების რეჟიმის“ დროს, სამართალდამცავ უწყებებთან არაერთი საპროცესო გარიგება გააფორმეთ, რის გამოც სახელმწიფოს 20 ათასამდე გმართებთ. ჰოდა, საკრებულოს წევრი, წესით, ვერ უნდა გამხდარიყავით...

— საპროცესოთი არასოდეს გამოვსულვარ... ამაზე რატომ უნდა გავბრაზებულიყავი?

— რა ვიცი, ჟურნალისტს, რომელმაც ეს თავის დროზე გკითხათ, თურმე, აღარ ელაპარაკებით...

— დედას გეფიცებით, ასეთი რამ არავის უკითხავს... კარგი, ამ თემაზე ვილაპარაკოთ: 20 დაკავება „მაქვს“, თუმცა ყველა ადმინისტრაციულია და აქედან გამომდინარე, ნასამართლეობაში ერთიც არ მეთვლება. ყველა მისჯილი პატიმრობა იყო, რომელიც დროებითი მოთავსების იზოლატორში, ასე ვთქვათ, მოვიხადე... იმ ჯარიმებიდან კი, რაც მოსამართლემ დამაკისრა, ნაწილზე, მოგეხსენებათ, 2009-2011 წლებში და შემდეგაც, ამნისტია გამოვიდა, ნაწილი კი დავფარე...

— დღეს გადასახდელი რამდენი გაქვთ?

— სულ გადახდილი მაქვს... დაახლოებით, 17 ათასი ლარი ჩამომეჭრა, 2 ათასამდე კი გადავიხადე.

— როდის?

— 2012-ის დასაწყისში იმიტომ, რომ მართვის მოწმობას ვერ ვიღებდი...

— რა ამის პასუხია და, სხვანაირი ჯაბა ჯიშკარიანი ხართ — დასერიოზულებული, არადა, ბოლო დღეების ქრონიკა აშკარად თქვენს ძველ ამპლუაში „ჯდება“. ვიხუმრე კიდეც, ჯაბას პოლიტიკური სული ლადო სადღობელაშვილსა და იმ ახალგაზრდებშია რეინკარნირებული, ნაცმოძრაობის ოფისებს რომ არბევენ-მეთქი. ყველაფერ ამას თავის დროზე ხომ სამოქალაქო ფრონტი აკეთებდა...

— სამოქალაქო ფრონტი, თანასწორობის ინსტიტუტი, 7 ნოემბერი — ყველა ჩვენი ორგანიზაცია იყო, მაგრამ იცით, რა არის? — როცა ყველაფერ ამას ვაკეთებდით, ჩემი აზრით, იმ დროის ადეკვატური იყო. მიშასთვის სილის გარტყმა მაშინ იყო მაგარი, როცა მისი ყველას, მთელ მსოფლიოს ეშინოდა. ეს შიშისა და გამბედაობის გარდატეხა და წინგადადგმული ნაბიჯი იყო. აი, მაგალითად, 2009 წლის ე.წ. სუშიბარის აქციაზე მთელმა საქართველომ იცის...

— იმ აქციაზე ამბობთ, სააკაშვილის დაცვაში მეგობარი რომ გყავდათ და გაცნობათ, მიშა სუშიბარში მიდისო?

— 9 აპრილის აქციები დროში გაიწელა, ბანალური გახდა და ხალხმა იკლო — დღეში, დაახლოებით, 500 ადამიანიღა მოდიოდა. სუშის აქციის მეორე დილას კი ზუსტად 30 ათასი ადამიანი გამოვიდა ანუ ის გამბედაობა და რადიკალიზმი, რომელსაც ვაკეთებდით, ვფიქრობ, რეჟიმის ადეკვატური იყო. დღეს კი რადიკალური აქცია სად უნდა ჩავატაროთ, ვისთან უნდა მივიდეთ?

— აი, მაგალითად, გუშინ, „ოცნებასთან“ ასოცირებული ორგანიზაციები „პირიმზესთან“ მივიდნენ და აქცია გიორგი კოდუას მოუწყვეს...

— კოდუა ვინ არის?.. ისე, ლადო სადღობელაშვილი „ოცნებასთან“ ასოცირებული არაა და ამბობს, რომ დამოუკიდებელია. მაშინ სამოქალაქო ფრონტზე ან თანასწორობის ინსტიტუტზე, რომელიც წმინდა დამოუკიდებელი ორგანიზაცია იყო, ვინმეს რომ ეთქვა, რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთანაა ასოცირებულიო, პირადად მე შეურაცხყოფად მივიღებდი.

— ფულს ვინ გაძლევდათ?

— რა ფული გვქონდა?

— თუნდაც ის ფული, აქციები რომ გაგემართათ...

— დავთვალოთ, აქციის ჩატარებას რა ფული სჭირდება: ქაღალდის ფორმატი 80 თეთრი ღირს, მარკერი კი — ლარი. გარდა ამისა, საჭიროა კეთილი ნება ანუ აქციის ჩატარება ლარი და 80 თეთრი ჯდება.

— მაშინ არსად მუშაობდით და თუნდაც ამ ლარსა და 80 თეთრს ვინ გაძლევდათ?

— (იღიმება) ოჯახში მქონდა ამის საშუალება.

— კარგი, მჯერა...

— მართლა ამდენი ჯდება, დედას გეფიცებით... რუპორი 50 ლარი ღირს და 20 ლარის ელემენტები მთელი წელი ყოფნის...

— ესე იგი, ფული არავის შემოუძლევია?

— არასოდეს, აპა-პა-პა!

— ანუ, მიშას არ ექნება ჩანაწერები, როგორ სთავაზობდა ვინმე ჯაბა ჯიშკარიანს ფულს?

— არა, არა, არა! ეს ან რამე კომპრომატი რომ ჰქონოდა, გამოიყენებდა.

— ყველაფერი წინაა!.. ახლა რომ გითხრათ, ჯაბა, თქვენზე კონკრეტული ურთიერთობების ვიდეო მაქვს-მეთქი, რას გააკეთებთ?

— არ გექნებათ!.. ადამიანებთან ისეთი ურთიერთობები არ მაქვს, რომლის გამოაშკარავებისაც შემრცხვება.

— ყვითელ პრესაში თქვენს ურთიერთობებზე ბევრი იწერებოდა...

— რა პრობლემაა? დასამალი არავისთან არაფერი მაქვს... მამაკაცებთან არც ღია ურთიერთობა მაქვს და არც — დაფარული!

— ეს რა შუაშია?

— ნუ პროვოცირებთ, მე სხვა მესიჯი გავუშვი! აქედან გამომდინარე, თუ რამე კადრი მოგეპოვებათ, კომპრომატად ვერ ჩავთვლი, მით უმეტეს, ცოლი არ მყავს და ვერ დამაშანტაჟებთ — თავისუფალი მანევრირების უფლება მაქვს!

— მოკლედ, როცა ოპოზიციაში იყავით, ფული არავის შემოუთავაზებია, არა?

— ერთადერთი შემთხვევა იყო, რომელიც მე და ლევან გოგიჩაიშვილმა მაშინვე გავახმაურეთ: ნაცმოძრაობასთან დაახლოებული ლევანის ძმის მეგობარი მოაგზავნეს, შეხვედრა ქალაქურის ვერანდაზე გაიმართა და კონკრეტული დავალების შესრულებაში ჩემოდნით ფული შემოგვთავაზეს, მაგრამ ყველაფერი საზოგადოებას ვამცნეთ. სხვათა შორის, მილიონი დოლარი იყო და 6 თვე უნდა გავჩუმებულიყავით.

დასასრული მე-6 გვერდზე

„ცოლი არ მყავს და ვერ დამაშანტაჟებთ!“

მე-5 გვერდიდან

— ...ჯაბა, ნაციონალებს მტრებად რატომ აღიქვამთ?

— ჩემი კი არა, ქვეყნის მტრები არიან და ამაზე სრულიად საზოგადოება ვთანხმდებით!

— ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ: ნაცმოძრაობის წევრი, ესე იგი, ქვეყნის მტერი ვარ?

— უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ!

— მადლობა, მაგრამ ქვეყნის მტერი ვარ?

— იზიარებთ იმ იდეოლოგიას, რაც გაგაჩნიათ.

— რომელ იდეოლოგიას?

— კაცობრიობის, ადამიანის, ღირსებისა და აბსოლუტურად ყველაფრის მტერი ხართ, თუ ამ ორგანიზაციის წევრი ხართ!.. ნაცმოძრაობის წევრი დღესაც ბრძანდებით?

— „ოცნებაში“ რომ დავპორტირდე, ქვეყნის მოყვარე გავხდები?

— იცით, რა არის? — „ოცნების“ იდეოლოგია ნაცმოძრაობისგან ნამდვილად განსხვავდება. კიდევ ვიმეორებ: მათი მთავარი იდეოლოგია შიშზე, შეურაცხყოფასა და გაუპატიურებაზეა ორიენტირებული. ყველანაირი სიბინძურე, რაც კი არსებობს, ნაცმოძრაობა ყველაფრის „ბუკეტი“ და ქართული საზოგადოების ხორცმეტია! აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, იხუმრეთ და ნაცმოძრაობის წევრი არ ხართ!

— რამდენი წლის იყავით, ნაცმოძრაობას პირველად რომ დაუპირისპირდით?

— 18-ის.

— 18 წლის ბიჭი როგორ მიხვდით, რომ ნაციონალები ქვეყნის მტრები იყვნენ?

— მაშინ ასე არ ვთვლიდი. სტუდენტები კონკრეტულ რაღაცებს ვაპროტესტებდით — თუ გახსოვთ, მაშინ ამირან რობაქიძე მოკლეს...

— ბოლო 25 წელია, ძალიან ბევრი რამ მახსოვს!.. ბუტას მკვლელობის დროს, შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი იყო...

— კი, მახსოვს... შემდეგ იყო ვაზაგაშვილი, გირგვლიანი, ციხის ბუნტი, ჟვანია, აფრასიძეები... შემდეგ, თანასწორობის ინსტიტუტი შევქმენით...

— ...ჯაბა ჯიშკარიანი პოლიტიკოსია?

— ამას საზოგადოება შეაფასებს... ვფიქრობ, კონკრეტული ჯგუფის — მთაწმინდელების წინაშე პასუხისმგებლობით დატვირთული მოქალაქე ვარ, რომელიც ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს...

— ...ჯაბა, ნატო თუ რუსეთი?

— ნატო!

— მშვენიერია!.. „ოცნებაში“ როგორ მოხვდით?

— „ოცნებაში“ მოხვედრას რამე უნდოდა?

— აბა, ერთ დილას გაგეღვიძათ, „ოცნებაში“ მიხვედით და უთხარით, გამარჯობა, მთაწმინდის მაჟორიტარობის კანდიდატი ვიქნებიო?

— ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა: სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ვიბრძოდით... მერე, პოლიტსაბჭოსთან კონსულტაციები მქონდა და მისი თხოვნის საფუძველზე, დავთანხმდი, მთაწმინდაზე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვყოფილიყავი...

— ოპოზიციონერობა უფრო კომფორტულია თუ ხელისუფლებაში ყოფნა?

— იცით, რა არის? — მაშინაც კომფორტი იყო და დღესაც. ყველა ადამიანი, საქმეს რომ აკეთებს, ალბათ, კომფორტს განიცდის...

— დღევანდელი პროკურატურის გჯერათ?

— ამ ეტაპზე, კი. ჩემთან ინტერვიუს ისე იწერთ, როგორც ქალაქის მაჟორიტართან თუ როგორც პოლიტიკოსთან?

— როგორც პოლიტიკოსთან... სხვათა შორის, ამ რუბრიკას „არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ“ ჰქვია და ყველაფერზე უნდა ვისაუბროთ...

— არაა პრობლემა, თუ გინდათ, ალ-ქაიდაზე ვისაუბროთ...

— ალ-ქაიდაზე არა, მაგრამ თუკი გამოძიება დაადასტურებს, რომ ნიკა გვარამიას პირადი ცხოვრების კადრებით ხელისუფლება მართლა აშანტაჟებდა, ჯაბა ჯიშკარიანს პროკურატურის ნდობა ისევ ექნება?

— პროკურატურა არაფერს დადებს, მაგრამ ვალდებული იყო, გვარამია დაებარებინა და დაეკითხა!.. ყველაფერ ამის პოლიტიკური გეგმარება მიმდინარეობს. გვარამია კლოუნადაა გადაქცეული და ცდილობს, სააკაშვილს თავი მოაწონოს, რომ ოდესაში წაიყვანოს...

— ...შეგიძლიათ, საკუთარ თავს რაღაცები აპატიოთ?

— პასუხი მარტივია: ყველას შეუძლია, საკუთარ თავს აპატიოს.

— ესე იგი, თუკი გაქვთ უნარი, საკუთარ თავს აპატიოთ, მაშინ სხვებსაც აპატიებთ, არა?

— დიახ, სხვებსაც უნდა აპატიო.

— რაკიღა ასეა, მიშასაც აპატიეთ, რას გადაეკიდეთ, ცოდო არაა?

— ერთი წუთით: შეცდომა და დანაშაული გავმიჯნოთ, თან უნებლიე და მიზანმიმართულად ჩადენილი დანაშაული. სააკაშვილის შემთხვევაში, დანაშაულთა მთელი კასკადი აბსოლუტურად მიზანმიმართული იყო, რომელიც ერთმა ადამიანმა კი არა, ბოროტების ჯგუფმა ჩაიდინა. მე რომც ვაპატიო, კანონი არ აპატიებს!

— სხვათა შორის, კანონით, სააკაშვილს მხოლოდ ქიშმირის პალტოებს ედავებით...

— რატომ? ძალიან ბევრ მონაკვეთშია მიშაზე საქმე აღძრული, მაგალითად, გირგვლიანის საქმეზე, რომ დამნაშავეებს ხელი დააფარა...

— ...პოლიტიკოსი ჯაბა ჯიშკარიანი ოპოზიციაში უფრო კარგად იტყუებოდა თუ ხელისუფლებაში უფრო კარგად იტყუება?

— ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მაგრამ ოპოზიციაში რომ ვიყავი, პოლიტიკოსი არ ვიყავი და ვერ მოვიტყუებოდი. ოპოზიციაში ყოფნისას პოლიტიკოსისთვის მოტყუება უფრო კომფორტულია. ხელისუფლებაში კი ტყუილის თქმა ძნელია, რადგან ეს შენსა და შენი გუნდის იმიჯზე აისახება — ოპოზიციის ყველას ყველაფერი ავიწყდება, შენი კი ახსოვს, რადგან მაჟორიტარი ან გამგებელი ხარ. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებაში პოლიტიკოსები, ვფიქრობ, ტყუილის თქმას ერიდებიან. ურთიერთბრალდებებისას კი, ორივეს განცხადება შეიძლება, ტყუილის შემცველი იყოს და ეს ჩვეულებრივია.

— მაშასადამე, საარჩევნო გარემოში ნათქვამი „საუკეთესო მეოთხე წელი“, „იაფი ფული“ და ასე შემდეგ ტყუილი იყო?

— ტყუილი რატომ იყო? ეს გუნდი ხელისუფლებაში მოვიდა, ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აიღო და ამ დანაპირების შემდეგ, ორი არჩევნები იყო — საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის ანუ ის რეალობა, რომელშიც ვიმყოფებით, გავისისხლხორცეთ, ამომრჩეველთან პირისპირ დავრჩით და თავს ვალდებულად ვთვლით, მაქსიმალურად დავიხარჯოთ. ამიტომ, ყოველთვის ვიცით, ამომრჩეველს რა ვუთხრათ და რა — არა. შეიძლება, ვთქვათ, 6 თვეში რაღაც ვერ მოვასწროთ, მაგრამ ერთ წელში აუცილებლად გაკეთდება.

— ჯაბა, მარტივად მიპასუხეთ: მეოთხე საუკეთესო წელი სახეზეა?

— დაიწყება და ამას მოსახლეობა იგრძნობს.

— თქვენს თვალში შეიძლება, პირწავარდნილი ნაცი ვარ, მაგრამ ელექტროენერგია რომ გამიძვირდა, ესაა მეოთხე საუკეთესო წელი?

— ელექტროენერგიის გაძვირებაზე კომპეტენტური ნამდვილად არ ვარ.

— თქვენ არა, მაგრამ „ოცნება“ ამბობდა, გადასახადებიდან ფული სააკაშვილის ჯიბეში მიდისო...

— გასაგებია, მაგრამ ამასთან დაკავშირებით მიბრძანდით და პასუხს გაგცემენ. ისე, ვფიქრობ, თუ ჩვენი ხელისუფლება მოწოდების სიმაღლეზე იქნება, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება და მოწოდების სიმაღლეზე აუცილებლად იქნება, ვინაიდან ეს პასუხისმგებლობით აღსავსე გუნდია, რომელიც ყველა ნაბიჯს ჩვენი მოქალაქეების ინტერესებს მოარგებს და წინა ხელისუფლებასავით გაზულუქებული არ იქნება!

— ...ჯაბა, ქვეყანაში სამოქალაქო ესკალაციის ნიშნებს ხედავთ?

— ვფიქრობ, ეს ხელოვნურად შექმნილი და აჟიტირებულია, ვინაიდან არ მგონია, სამოქალაქო დაპირისპირების სურვილი, ერთი ძალის გარდა, ვინმეს ჰქონდეს, მაგრამ დამიჯერეთ, ამ ძალას სამოქალაქო დაპირისპირების თავი არ აქვს.

— ...თინა ხიდაშელისა არ იყოს, კვერცხების სროლას დემოკრატიად თვლით?

— დემოკრატია შეიძლება იყოს კვერცხების, ჩუსტების, ქვების სროლა, გააჩნია, მოცემულობაში რა არის. შეიძლება, ტყვიის სროლაც იყოს დემოკრატია და ტყვიით სიცოცხლის უფლებას იცავდე! თავის დროზე კანონდარღვევაზე შეგნებულად მივდიოდით, ვინაიდან დემოკრატიაში სიცოცხლის უფლება მეტად ძვირი ღირდა, ვიდრე — კანონის კონკრეტული მუხლები! აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ კვერცხის სროლა დემოკრატია არაა.

— ესე იგი, სიცოცხლის უფლება ყველა უფლებაზე ძვირია, არა?

— რა თქმა უნდა!

— თუმცა, შარშან მანანა კობახიძემ განაცხადა, სიცოცხლის უფლება ადამიანის აბსოლუტური უფლება არ არისო...

— ეს, ალბათ, ქალბატონი მანანას პირადი აზრია...

— ...ჯაბა, წეღან უნდა მეკითხა და გამომრჩა: წინასწარი დაკავების იზოლატორებში გცემდნენ და გაწამებდნენ?

— არა, მაგრამ რამდენჯერმე გაგვიტაცეს, ტყეში არმატურით გვცემეს და მერე, იზოლატორში გადაგვიყვანეს, თუმცა დასამალი არაა, რომ მცემელებს პასუხი გავეცით...

— როგორ?

— ეს მთელმა თბილისმა იცის და ჩემი მხრიდან ლაპარაკი უხერხული იქნება მაგრამ ვინც არაკაცურად მოიქცა და კანონი დაარღვია, პასუხი გავეცით.

— კანონს „ოცნებაც“ არღვევს?

— (იცინის) რას ნიშნავს, კანონს არღვევს?

— მაგალითად, ორი თვის წინ, ქუთაისში ადამიანი, როგორც ითქვა, იმიტომ გარდაიცვალა, რომ პოლიციამ შარდმდენი დაალევინა...

— ის პოლიციელი ხომ დასაჯეს?

— მოკლედ, სისტემა შეიცვალა თუ, უბრალოდ, ადამიანები შეიცვალნენ?

— ვფიქრობ, სისტემური ცვლილება მოხდა და შემიძლია, ამის მაგალითები მოგიყვანოთ.

— კი ბატონო, გისმენთ...

— ავიღოთ ჯოკია ბოდოკია — ყველაფერ ამას უგულავა და მიშა დამალავდნენ, ამ ხელისუფლების პოზიცია კი ასეთია: კანონის წინაშე აბსოლუტურად ყველა დამნაშავე თანასწორია!.. წინა ხელისუფლების დროს შექმნილი იყო სისტემა, რომელიც შანტაჟსა და კომპრომატებზე იყო აწყობილი და შეიძლება, ჩემო კარგო, ალ-ქაიდას წევრად გამოეცხადებინეთ და თავი ციხეში ამოგეყოთ...

— თუკი გამოძიება დაადგენს, რომ ალექსი ახვლედიანი ხელისუფლებასა და ნიკა გვარამიას შორის შუამავალი იყო, თქვენს მეგობრად მაინც დარჩება?

— რა თქმა უნდა. მეგობრობა სხვა რამეა, პოლიტიკა — სხვა.

— ...ხომ არ ნანობთ, რომ შემხვდით?

— საერთოდ, არაფერს ვნანობ!

— ცოლის მოყვანას არ აპირებთ?

— ამ ეტაპზე მზად არ ვარ! ცოლი იმ შემთხვევაში მოყავთ, როცა ურთიერთობა მომწიფებულია.

— ამ კუთხით ძალიან პროგრესულად აზროვნებთ... ერთი შეკითხვა თქვენც დამისვით.

— კარგი, ოღონდ არ გეწყინოთ: ეს ინტერვიუ შეკვეთილია?

— დიახ — ერთმანეთს ერთ-ერთ ტელევიზიაში, ერთ-ერთი გადაცემის ჩაწერაზე რომ შევხვდით, ჩემმა გონებამ მაშინ შემიკვეთა, ჯიშკარიანთან არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ გააკეთეო.

— მეორე კითხვა: ბოლო 25 წლის მოვლენები საიდან იცით?

— იცით, რამდენი წელია, ჟურნალისტიკაში ვარ?

— საქმიანობა საიდან დაიწყეთ?

— დედოფლისწყაროში და თუ გინდათ, იმასაც გეტყვით, მაშინ დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსი ვინ იყო... კიდევ მკითხეთ რამე!

— ცოლი თქვენ რატომ არ მოგყავთ?

— ზუსტად იმიტომ, რატომაც თქვენ...

— თქვენს ასაკში ბანალური პასუხია...

— სულაც არა, თან სიმართლე გითხრათ, თბილისში ბინა არ მაქვს...

— გაჩერდით ახლა, რა?!

— „ოცნებაში“ ვინმე ბინიანი, თუნდაც ასაკიანი არავინ გყავთ — სიამოვნებით შევირთავ?!

— ამას ნამდვილად არ ვემხრობი... წარმატებებს გისურვებთ... თქვენთან საუბარი ძალიან სასიამოვნო იყო!

— ჩემთვისაც... წარმატებები...

რატომ არ ახსენებს ქიბარ ხალვაში დავით ბეჟუაშვილს, ვისაც „რუსთავი 2“-ის წილი გადაუფორმა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

დღეს, 26 ოქტომბერს, „რუსთავი 2“-ის საქმის მორიგი სასამართლო მოსმენა, ალბათ, ისევ საპროტესტო აქციის ფონზე წარიმართა. უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს მოსამართლე, მაგრამ ფაქტია: „რუსთავი 2“-ის წილები ყოფილ მფლობელებს შორის იმდენჯერ გადანაწილდა, სამართლებრივად, რთული დასადგენია, რომელია მათ შორის კანონიერი „მემკვიდრე“.

გია ხუხაშვილი: „სააკაშვილის მსგავსად, სისხლის სამართლის საქმე ქიბარ ხალვაშის წინააღმდეგაც უნდა აღიძრას!“

წილების გადანაწილების სქემა

4 აგვისტოს, ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის წილის დაბრუნების მოთხოვნით, სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ხუთ დღეში გაირკვა, რომ სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო. ქიბარ ხალვაშის ადვოკატი, პაატა სალია აცხადებდა, რომ ბიზნესმენი მის მიმართ განხორციელებული ძალადობისა და საკუთრების ხელყოფის ფაქტებზე, გამოძიების დაწყებას მეშვიდე წელია ითხოვდა. პაატა სალიას თქმითვე, სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლა ხალვაშმა 2008 წელს დაიწყო, როდესაც „რუსთავის 2“-ის იძულებით ჩამორთმევის ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით მიმართა. 2012 წლის შემდეგ კი ბიზნესმენმა ამ მოთხოვნით პროკურატურას არაერთხელ მიმართა, მაგრამ უშედეგოდ.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, სხვადასხვა ტელეკომპანიაში წილების გადანაწილების პროცესი განახლდა. ტელეკომპანია „რეალ TV“-ს 100%-იანი წილის მფლობელმა ლია დოლიძემ მაუწყებლის აქტივები 30 000 ლარად (23 000 აშშ დოლარი) ლალი ეგაძეს მიყიდა, რომელიც ჟურნალისტთა საერთაშორისო კავშირ „ობიექტივის“ დამფუძნებელი იყო. იმავე დღეებში, ტელეკომპანია „იმედი“ ძველ მეპატრონეს, პატარკაციშვილების ოჯახს დაუბრუნდა. არხის გენერალურმა დირექტორმა და „იმედის“ წილის მაშინდელმა მფლობელმა, „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ ხელმძღვანელმა, გიორგი არველაძემ განცხადება დაწერა და თანამდებობიდან გადადგა.

სწორედ ამ პერიოდში, 2012 წლის ოქტომბრის ბოლოს, მედიასაშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „რუსთავი 2“-ის დაბრუნებას ძველი მფლობელები, მათ შორის, ჯარჯი აქიმიძე, დავით დვალი და გერმანიაში მცხოვრები ბიზნესმენი, ქიბარ ხალვაში აპირებდნენ. სხვადასხვა დროს, „რუსთავი 2“-მა უამრავი პატრონი გამოიცვალა და ეს სამეწარმეო რეესტრის ოფიციალური ჩანაწერებიდანაც დასტურდება, თუმცა სინამდვილეში, გასარკვევია, კონკრეტულად რომელ პატრონს უნდა დაბრუნებოდა ტელეკომპანია ან რა სამართლებრივი მექანიზმით.

„ვერსია“ უკვე წერდა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან მესამე დღეს ანუ 3 ოქტომბერს, ბიზნესმენმა დავით კეზერაშვილმა, საჯარო რეესტრში ორი კომპანია — „მედია ჯორჯია“ და „ჯორჯიან მედია კომპანი“ დააფუძნა. ორივეს 100%-იანი წილის მფლობელი დავით კეზერაშვილი, დირექტორი კი გიორგი ფრუიძე იყო. 4 ოქტომბერს, „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ დამფუძნებელთა საპარტნიორო კრებამ წილების გაყიდვის გადაწყვეტილება მიიღო. „რუსთავი 2“-ის 40%-იანი წილი „მედია ჯორჯიამ“ ლევან ყარამანაშვილისგან (90%-ის მფლობელი) 500 000 აშშ დოლარად შეიძინა. იმავე დღეს, ლევან ყარამანაშვილმა ტელეკომპანია „მზის“ 40%-იანი წილი შპს „ჯორჯიან მედია კომპანიას“ 250 000 აშშ დოლარად მიყიდა. ორივე გარიგების მიხედვით, დავით კეზერაშვილი „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ აქციების 40-40%-ს ფლობდა, რომელიც ორიოდე დღეში, ისევ ლევან ყარამანაშვილს გადაუფორმა...

2004 წელს, თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარმა ბიზნესმენმა, ქიბარ ხალვაშმა, „რუსთავი 2“-ის საკონტროლო პაკეტი ამ ტელეკომპანიის სამი დამფუძნებლისგან — ეროსი კიწმარიშვილისგან, ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალისგან 7 000 000 აშშ დოლარად შეიძინა. მოგვიანებით, ეს გარიგება ყოფილმა მფლობელებმა სადავო გახადეს — ისინი სხვადასხვა დროს აცხადებდნენ, რომ მაშინდელი ხელისუფლების ზეწოლის შედეგად, საკუთარი წილები თავდაცვის ექსმინისტრის მეგობარს იძულებით დაუთმეს.

2006 წელს, როდესაც ირაკლი ოქრუაშვილმა მთავრობა დატოვა, „რუსთავი 2“-ის მფლობელი შეიცვალა და ქიბარ ხალვაშს ტელეკომპანიაში უკვე მილიარდერი დეპუტატი დავით ბეჟუაშვილი „ჩაენაცვლა“. 2011 წლის ბოლომდე, ტელეკომპანია „მზეს“, „რუსთავი 2“-სა და „პირველ სტერეოს“ სწორედ დავით ბეჟუაშვილის კუთვნილი კომპანია „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მფლობელი — „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ფლობდა. 2011 წლის ბოლოს, ამ ტელეკომპანიების ნილები გიორგი და ლევან ყარამანაშვილებმა, ასევე „რუსთავი 2“-ის ყოფილმა დირექტორმა, გიორგი გეგეშიძემ დავით ბეჟუაშვილისგან შეიძინეს.

რატომ გაქრა ბეჟუაშვილის კვალი „რუსთავი 2“-ში

წლების წინ, „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლებს შორის წილების გადანაწილების ეს სქემა „ვერსიის“ არაერთი ჟურნალისტური მოკვლევის თემა იყო. განსაკუთრებული შემთხვევა 2012 წლის 3-5 ოქტომბრის შუალედში დაფიქსირდა, როდესაც ტელეკომპანიის წილები ზედიზედ ოთხჯერ გადაიყიდა. ამ იურიდიული ქაოსიდან მხოლოდ ის ირკვევა, რომ ყველაზე გამოცდილ და პროფესიონალ იურისტსაც კი გაუჭირდება, სამართლებრივი მექანიზმების საშუალებით, ტელეკომპანიის ჭეშმარიტი მფლობელი გამოავლინოს. საინტერესოა, როგორ უნდა დაადგინოს მოსამართლემ, რომ „რუსთავი 2“-ის წილი მაინცდამაინც ქიბარ ხალვაშს ეკუთვნის და არა — ჯარჯი აქიმიძეს ან დავით დვალს? რატომ არ ითხოვს საკუთარი წილის დაბრუნებას, მაგალითად, დავით ბეჟუაშვილი?

ზუსტად ერთი წლის წინ, კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით, „ვერსიამ“ ექსკლუზიურად გაარკვია, რომ რუსეთიდან საქართველოს გავლით, თურქეთის რესპუბლიკაში ელექტროენერგიის ტრანზიტს პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილის კუთვნილი კომპანია განახორციელებდა. „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“, რომელსაც დავით და გელა ბეჟუაშვილების საკუთრებაში არსებული კომპანია „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ კომერციული დირექტორი ზურაბ გოზალიშვილი ხელმძღვანელობს, ყოველწლიურად, თურქეთს 300 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას მიაწვდის.

„ინტერ რაომ“ საქართველოს ელექტროსისტემისთვის ელექტროენერგიის მიწოდება შარშანვე დაიწყო, რომელიც თურქეთში ტრანსპორტირებისთვის იყო განკუთვნილი. „ინტერ რაოს“ ინფორმაციით, თურქეთში ელექტროენერგიის ტრანსპორტირება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც საქართველოსა და თურქეთს შორის, ბორჩხა-ახალციხის ურთიერთდამაკავშირებელი, 400-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი ამოქმედდა. მცირე ამონარიდი შარშან, „ვერსიაში“ გამოქვეყნებული სტატიიდან: **„კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, საქართველოს მხრიდან ამ ტრანზიტში დავით ბეჟუაშვილის კუთვნილი კომპანია მონაწილეობს. იმის გამო, რომ ფაქტობრივად, ეს ელექტროენერგიის რეექსპორტია, ტენდერი ვერ ჩატარდებოდა. სამაგიეროდ, 2014 წლის 3 ნოემბრიდან, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ (ესკო), ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, სსეკ — „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“, იმპორტიორად დაარეგისტრირა. წყარო გვიამბობს, რომ 26 ნოემბერს, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გამოცხადებულ აუქციონზე, გამარჯვებულად, სწორედ სსეკ გამოცხადდა, რომლის აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ გოზალიშვილია.**

უცნობია, რა ფასად ყიდულობს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ ელექტროენერგიას რუსეთიდან, მაგრამ „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, 300 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის გატარების საფასურად, ამ კომპანიას 1 ცენტიც რომ დარჩეს, ერთი წლის განმავლობაში, ეს დაახლოებით, 25 000 000 აშშ დოლარი იქნება, რაც ბეჟუაშვილის კუთვნილ კომპანიას მოგების სახით დარჩება. წყარო გვიამბობს, რომ წელიწადში, საშუალოდ, 2 მილიარდი კილოვატსაათია, ამიტომ გამორიცხული არ არის, ამ კომპანიამ 25 000 000 დოლარზე მეტიც კი მოიგოს.

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ „ვერსიას“ განუცხადეს, რომ 2014 წლის 14 ნოემბერს, ბორჩხა-ახალციხის 400 კვ ელექტროგადამცემის ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილებასთან დაკავშირებით, სპეციალური აუქციონი ჩატარდა, რომელშიც „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ მონაწილეობდა. 19 ნოემბერს, სსეკ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა, რომელმაც 300 მეგვატი სიმძლავრის ელექტროენერგიის ტრანზიტი უნდა განახორციელოს“.

„ვერსიის“ წყაროს უხეში გათვლით, მიღებული 25 000 000 აშშ დოლარი ის თანხაა, რის სანაცვლოდაც „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლებს შორის, დავით ბეჟუაშვილის კვალი „ქრება“. როგორც ჩანს, ნაციონალებთან დაახლოებულმა ბიზნესმენმა და თეთრიწყაროს რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, „ქართული ოცნების“ გულიც ადვილად მოიგო. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია, რატომ უნდა დაეთმო ხელისუფლებას რუსული დენის თურქეთში ტრანზიტი მიხეილ სააკაშვილის თანაკურსელისა და მისი ძმის (დავით ბეჟუაშვილის ძმა, გელა ბეჟუაშვილი და მიხეილ სააკაშვილი კიევში ერთად სწავლობდნენ) კომპანიისთვის?

რატომ უნდა მისცეს აღიარებითი ჩვენება ხალვაშმა

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლებს შორის წილების გადანაწილების სქემას თუ გავშიფრავთ, ლოგიკური კითხვა ჩნდება — თუ 2006 წელს, სააკაშვილმა დავით ბეჟუაშვილის ხელით დაათმობინა ქიბარ ხალვაშს საკუთარი წილი „რუსთავი 2“-ში, მაშინ რატომ უნდა დავივიწყოთ, რომ ორი წლით ადრე, იგივე სააკაშვილმა, სწორედ ქიბარ ხალვაშის ხელით დაათმობინა წილები ტელეკომპანიის დამფუძნებლებს: ჯარჯი აქიმიძეს, დავით დვალსა და ეროსი კიწმარიშვილს? მეტიც, თუ დავით ბეჟუაშვილმა ტელეკომპანიის წილი არაკეთილსინდისიერად ჩაიგდო ხელში, ქიბარ ხალვაში კეთილსინდისიერი მფლობელი როგორ გამოდის?

ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა, **პაატა სალიამ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ 2006 წელს, დავით ბეჟუაშვილის ხელით წაიღეს ქიბარ ხალვაშის წილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან. მისი თქმით, დავით ბეჟუაშვილი მაშინდელი ხელისუფლების დავალებას ასრულებდა, რადგან მის კუთვნილ კომპანია „საქცემენტს“, რომელზეც ქიბარ ხალვაშის კუთვნილი წილი გადაფორმდა, მედიაბიზნესში ინტერესი არ ჰქონდა:

„მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2“-ს ქიბარ ხალვაში ჩამოაშორეს, მისი წილის რეალური მაკონტროლებელი მაშინდელი ხელისუფლება და უშუალოდ, მიხეილ სააკაშვილი იყო. არ არსებობს დოკუმენტი, რომ „რუსთავი 2“-ის წილის სანაცვლოდ, დავით ბეჟუაშვილმა ქიბარ ხალვაშს თანხა გადაუხადა. ხელშეკრულებაში მითითებულია თანხის ოდენობა, მაგრამ არაფერი წერია, როგორ უნდა გადაეხადათ ან გადახდილია თუ არა. როდესაც იურიდიული პირი გარკვეულ ქონებას იძენს, ფულადი ანგარიშსწორება გადარიცხვით ხდება, მაგრამ ასეთი გადარიცხვა არ არსებობს. ქიბარ ხალვაშს „რუსთავი 2“-ის წილის სანაცვლოდ, ვინმესგან ერთი თეთრიც მიუღია“.

ექსპერტი **გია ხუხაშვილი,** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ტიპის ზეწოლით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ მის დამფუძნებლებს — ჯარჯი აქიმიძესა და დავით დვალს ჩამოართვეს, მიშა სააკაშვილის საკუთრებად იქცა. ხუხაშვილის თქმითვე, 2004 წლიდან, ტელეკომპანიის წილები სწორედ სააკაშვილის სურვილით ფორმდებოდა ამა თუ იმ კონკრეტულ პირზე:

„აქედან გამომდინარე, ამ ტელეკომპანიაში პირველი ნომინალური მიშა სააკაშვილი ქიბარ ხალვაში იყო. სხვათა შორის, თავის ინტერვიუებში ქიბარ ხალვაში, ფაქტობრივად, აღიარებით ჩვენებას გვაძლევს. მაგალითად, ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ამბობს, რომ „რუსთავი 2“-ის წილი დავით დვალისა და ჯარჯი აქიმიძისგან კი არა, შუალედური რგოლისგან, ვინმე კარსანაძისგან გადაიფორმა. ფაქტობრივად, ქიბარ ხალვაშმა დაადასტურა, რომ კარსანიძე არაკეთილსინდისიერი მყიდველი იყო და მან ეს იცოდა, ამიტომ თვითონაც არაკეთილსინდისიერი მყიდველი გამოდის! მეტიც, თუ ძიებას გავყვებით, ვნახავთ, რომ ამ დიდი დანაშაულის თანამონაწილე, უშუალოდ ქიბარ ხალვაშია და არა — „რუსთავი 2“-ის წილის კანონიერი მფლობელი. შესაბამისად, ქიბარ ხალვაშის მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენის ყალბ ხასიათს ატარებს. თუ ქიბარ ხალვაში მართლა კარგი ბიჭია, როგორც თვითონ ამტკიცებს, დიდი პატრიოტია და ლამის თავისუფალი სიტყვის გარანტობაზეც აქვს პრეტენზია, აღიარებითი ჩვენება მისცეს, თუ როგორ დაათმობინა მაშინდელმა ხელისუფლებამ „რუსთავი 2“-ის წილი! თავის მხრივ, ხელისუფლებამაც უნდა მისცეს ხალვაშს გარანტიები, რომ არ დაიჭერს, გაუფორმებს საპროცესო შეთანხმებას და ასე აღდგება ნამდვილი სამართლიანობა ანუ ტელევიზია ნამდვილ მფლობელებს — ჯარჯი აქიმიძესა და დავით დვალს დაუბრუნდება!“

„ვერსიის“ კითხვაზე, „რუსთავი 2“-ის წილების გადაფორმების სქემაში, რა განსხვავებაა 2004 წლისა და 2006 წლის მოვლენებს შორის, როდესაც სააკაშვილმა აქიმიძეს, დვალსა და კიწმარიშვილს, თავდაცვის მაშინდელი მინისტრის მეგობარი ბიზნესმენის, ქიბარ ხალვაშის სასარგებლოდ დაათმობინა წილები და ორი წლის შემდეგ, იგივე ხალვაში, დავით ბეჟუაშვილით ჩაანაცვლა, გია ხუხაშვილმა გვიპასუხა:

„ამ სიტუაციას თუ გავაანალიზებთ, გამოდის, რომ „ქურდის ქურდი ცხონდა“ და შესაბამისად, ბეჟუაშვილი უფრო ნაკლებად „დამნაშავეა“, ვიდრე — ქიბარ ხალვაში. ამიტომ თუ სამართლიანობის აღდგენა გვინდა, რეალური გამოძიება უნდა ჩავატაროთ, რითიც დადასტურდება, რომ ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი დაზარალებულები არიან და მათ ნამდვილად წაართვეს ტელევიზია. მიხეილ სააკაშვილის მსგავსად, სისხლის სამართლის საქმე ქიბარ ხალვაშის წინააღმდეგაც უნდა აღიძრას და ხალვაშმა აღიარებითი ჩვენება უნდა მისცეს! ასე აღდგება სამართლიანობა და „რუსთავი 2“ მის ნამდვილ მფლობელებს დაუბრუნდება. ის, რაც ახლა ხდება, არაჯანსაღი სიტუაციაა, პირველ რიგში, ხელისუფლება ზარალდება, რადგან ეს პროცესი სწორედ მის დისკრედიტაციას უწყობს ხელს და ჩნდება განცდა, რომ ყველაფერი მხოლოდ ხელისუფლების ბრალია!“

მეფუტკრეობის კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამაში რეგისტრაცია 2 ნოემბრამდე გაგრძელდა



გიორგი მიშელაძე: „პირველი ცხოველური პროდუქტი, რომელიც შესაძლოა, საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე მოხვდეს, თაფლია“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

2015 წლის სექტემბრიდან, მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა დაიწყო. ამ პროგრამას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ საშუალებით ახორციელებს. „ვერსიასთან“ ინტერვიუში, სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი მიშელაძემ განაცხადა, რომ პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, გარდა ამისა, მათ მიერ წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტის ხარისხისა და რაოდენობის ზრდა. რაც მთავარია, ამავე პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში კაპიტალური ინვესტიციაც განხორციელდება და მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზეც სახელმწიფო იზრუნებს.

— ბატონო გიორგი, რას გულისხმობს მეფუტკრეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა?

— 2015 წლის 7 სექტემბერს, საქართველოს მთავრობამ მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა დაამტკიცა, რომლითაც გათვალისწინებულია ტექნიკური მხარდაჭერისა და კაპიტალური ინვესტირების კომპონენტი. ტექნიკური დახმარება კოოპერატივების წევრების ტრენინგებით უზრუნველყოფას გულისხმობს; მეტიც, პროგრამის ფარგლებში, ხელს შევუწყობთ კოოპერატივებს, რათა თაფლის რეგლამენტი დაინერგოს, რომელიც კოოპერატივების წარმოებაში, საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 26 დეკემბერს მიიღო. გარდა ამისა, მეფუტკრე კოოპერატივების საკუთრებაში არსებული სკებისა და ჩვენს მიერ, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მათთვის გადაცემული სკების იდენტიფიცირება-აღრიცხვასაც განვახორციელებთ. ამის შემდეგ, ზუსტად გვეცოდინება, საქართველოს რომელ რეგიონში გვაქვს მეფუტკრეობის მიმართულების კოოპერატივები და რეალურად, რამდენი სკა ფიქსირდება. ტექნიკური დახმარების ფარგლებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში, კოოპერატივების მიერ წარმოებული თაფლის ნიმუშს უსასყიდლოდ შევამოწმებთ. ეს ლაბორატორია ახლა ვალიდაციის პროცესშია და იმისთვის ემზადება, რომ ევროკავშირის აღიარება მიიღოს. სავარაუდოდ, მომავალი წლის პირველ კვარტალში, ლაბორატორია აკრედიტაციას გაივლის და მათ მიერ გაცემული მოწმობა ევროკავშირის მიერ უკვე აღიარებული იქნება. ეს მოგვცემს შესაძლებლობას, თუ მეფუტკრეობის კოოპერატივები ხარისხიან პროდუქციას აწარმოებენ, ევროკავშირის ბაზარზეც გაიტანენ. რაც შეეხება სახელმწიფო პროგრამის კაპიტალური ინვესტირების კომპონენტს, მეფუტკრეობის მიმართულების კოოპერატივებს, მათ საკუთრებაში არსებული სკების იდენტურ რაოდენობას თანამონაწილეობის პრინციპით — 70/30-ზე გადავცემთ. ეს ნიშნავს, რომ სკების ღირებულების 70%-ს სახელმწიფო, ხოლო 30%-ს — თანადაფინანსების საშუალებით, კოოპერატივი დაფარავს.

— რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს მეფუტკრეობის მიმართულების კოოპერატივი, რომ ამ სახელმწიფო პროგრამაში ჩაერთოს?

— ამ პროგრამაში ჩართვის უფლება აქვს კოოპერატივს, რომელიც საქართველოს თუ მაღალმთიან რეგიონშია რეგისტრირებული, მინიმუმ, 5-წევრიანი უნდა იყოს და საკუთრებაში ფუტკრის 30 ოჯახზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს, ხოლო თუ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზეა რეგისტრირებული, მინიმუმ 11-წევრიანი უნდა იყოს და საკუთრებაში ფუტკრის 60 ოჯახზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს. პროგრამაში მონაწილეობის შემდგომ, კოოპერატივმა 5 წლის მანძილზე, ჩვენი სააგენტოს თანხმობის გარეშე, საკუთრებაში არსებული ქონება, ანუ ჩვენს მიერ გადაცემული სკები რაიმე ვალდებულებით არ უნდა დატვირთოს. 2018 წლის 1 იანვრამდე, პროგრამაში მონაწილე კოოპერატივებმა, ჩვენს მიერ გადაცემულ სკებში ფუტკრის ოჯახები უნდა იყოლიონ, 2017 წლის 1 იანვრამდე კი, წარმოებაში GLOBAL GAP-ის სტანდარტი უნდა დანერგონ. ჩვენი სააგენტო იმ ორგანიზაციების მომსახურებას შეისყიდის, რომლებიც პროგრამის მონაწილე კოოპერატივებს GLOBAL GAP-ის სტანდარტის დანერგვაში დაეხმარებიან, კოოპერატივები კი მხოლოდ სერტიფიცირების ღირებულებას გადაიხდიან.

— დღევანდელი მონაცემებით, მეფუტკრეობის რამდენი კოოპერატივია?

— დღევანდელი მონაცემებით, მეფუტკრეობის მიმართულებით, 170-ზე მეტი კოოპერატივია რეგისტრირებული. თუმცა პროგრამაში ჩართვა ახლადშექმნილ კოოპერატივსაც შეუძლია, მთავარია, განაცხადის წარდგენის პერიოდში, ის ვალდებულებები შეასრულონ, რაც ამ პროგრამაში ჩართვისთვისაა აუცილებელი. განაცხადის წარდგენისას, პროგრამაში მონაწილეობის პრეტენდენტი კოოპერატივი, კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, ბიზნესოპერატორად უნდა იყოს რეგისტრირებული; არ უნდა გააჩნდეს მიმდინარე საგადასახადო დავალიანება; არ უნდა გააჩნდეს ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანება ფინანსურ ინსტიტუტებსა თუ სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირებთან. აღსანიშნავია, რომ დღეს, კოოპერატივების რეგისტრაციას უკვე ელექტრონული წესით ვახორციელებთ, ანუ საჭირო აღარ არის, საბუთების ჩასაბარებლად, კოოპერატივების წარმომადგენლები რაიონებიდან თბილისში ჩამოვიდნენ.

— რა რაოდენობის სკებს გადასცემთ მეფუტკრეობის მიმართულების კოოპერატივებს?

— სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სააგენტო კოოპერატივების საკუთრებაში არსებული სკების პროპორციული ოდენობის სკებს გადასცემს, მაგრამ არაუმეტეს 100 სკისა. მაგალითად, თუ კოოპერატივს 80 სკა აქვს, პროგრამის ფარგლებში, დამატებით 80 სკას გადავცემთ, თუმცა თუ კოოპერატივს 150 სკა აქვს საკუთრებაში, ჩვენ მაინც 100 სკას გადავცემთ, რადგან პროგრამის ფარგლებში, ზედა ზღვარი 100 სკითაა განსაზღვრული.

— სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია დასრულდა?

— არა, ჯერ ისევ გრძელდება. განაცხადების რეგისტრაციის ვადა 26 ოქტომბრამდე იყო განსაზღვრული, მაგრამ იმის გამო, რომ ძალიან დიდი დაინტერესება იყო, ცვლილება შევიტანეთ და ეს ვადა 2 ნოემბრამდე გადავწიეთ. ასე რომ, რეგისტრაცია ჯერ ისევ გრძელდება და ვფიქრობ, ყველა მსურველი შეძლებს ამ სახელმწიფო პროგრამაში ჩართვას.

— როგორ ფიქრობთ, ევროკავშირის ბაზარზე ქართულ თაფლზე დიდი მოთხოვნა იქნება?

— პირველი ცხოველური პროდუქტი, რომელიც შესაძლოა, საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე მოხვდეს, თაფლია. ჩვენი მიზანია, რომ მეფუტკრეობის მიმართულების კოოპერატივებსა და მასში გაწევრიანებულ ფერმერებს ისეთი ბიზნესგარემო შევუქმნათ, რათა მათ შეძლონ და არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ მსოფლიო ბაზარზე გაიტანონ საკუთარი პროდუქცია. ამ ეტაპზე, კონკრეტულად ეს სახელმწიფო პროგრამა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანამედროვე სკებით აღჭურვას მოიცავს. თუმცა მეფუტკრეობის მიმართულებით, სხვა სახელმწიფო პროგრამების განხორციელებასაც ვგეგმავთ.

პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული გიორგი ფ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების და პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავეს.

ბრალდებულმა საგარეჯოში, რუსთაველის ქუჩაზე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ჰაერში გასროლა მოახდინა. სამართალდამცველებმა, რომლებიც მიმდებარე ტერიტორიაზე შემოვლას აწარმოებდნენ, გიორგი ფ. განაიარაღეს და შემთხვევის ადგილზე დააკავეს. ბრალდებულმა დაკავებისას პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, „ა-კა-ეს“-ის მოდელის არარეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 71 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. გიორგი ფ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი ამოღებულია 1 მჭიდი. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების და პოლიციის მუშაკის მიმართ მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით წინააღმდეგობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით და 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

მალდივების ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტის მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს

მალდივების ვიცე-პრეზიდენტი აჰმედ ადიბი დააკავეს. ის ქვეყნის პრეზიდენტის მკვლელობის მიზნით, შეთქმულების ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი.

ადიბს სახელმწიფო ღალატის ბრალდება წაუყენეს. სამართალდამცველებმა მაღალჩინოსანი აეროპორტში დააკავეს, როცა ის უცხოეთში ვიზიტის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ამჟამად ვიცე-პრეზიდენტი ციხეში იმყოფება.

სექტემბრის ბოლოს მალდივების პრეზიდენტ აბდულა იამინის კატარღაზე აფეთქება მოხდა. შედეგად, პრეზიდენტის მეუღლე და დაცვის წევრი დაშავდნენ. აფეთქების შემდეგ დააკავეს რამდენიმე სამხედრო პირი. ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა კი, მომხდარის გამო თანამდებობა დაკარგა. გამოძიების თანახმად, აფეთქება პრეზიდენტის ლიკვიდირების მიზნით განხორციელდა.

„ინტერპრესნიუსი“

პენტაგონი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციებს მომავალშიც ჩაატარებს

ამის შესახებ აშშ-ს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ეშტონ კარტერმა განაცხადა.

კარტერის განმარტებით, სახმელეთო ოპერაციების ჩატარება ამერიკული ტაქტიკის შეცვლას არ გულისხმობს, რადგან აშშ ავიაციის გამოყენებას მომავალშიც გეგმავს.

როგორც ეშტონ კარტერმა განაცხადა, ერაყში სახმელეთო ოპერაცია მისი თანხმობით ჩატარდა.

ამერიკული სპეცრაზმისა და ერაყელი სამხედროების ერთობლივი სპეცოპერაცია ერაყის ქალაქ ჰავიჯაში 22 ოქტომბერს ჩატარდა. საბრძოლო მოქმედებების დროს ერთი ამერიკელი სამხედრო დაიღუპა. ეს არის პირველი საბრძოლო დანაკარგი მას შემდეგ, შარშან წელს აშშ-მ ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ოპერაცია დაიწყო. რეიდის შედეგად ამერიკელმა და ერაყელმა სამხედროებმა „ისლამური სახელმწიფოს“ ტყვეობაში მყოფი 70 ადამიანი გაათავისუფლეს.

„ინტერპრესნიუსი“

SOS! – ბაქტერიები, რომლებიც სიბრმავეს იწვევს

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

კორეიდან (სხვა წყაროები ტაილანდს ასახელებენ) შოკისმომგვრელი ამბავი გავრცელდა: ადგილობრივმა სტუდენტმა გოგონამ, მას შემდეგ, რაც რამდენიმე თვის განმავლობაში თვალიდან კონტაქტურ ლინზებს არ იხსნიდა, მხედველობა დაკარგა. ექიმთა განცხადებით, გოგონას თვალებში ჩასახლებული ამებები რქოვანათი იკვებებოდნენ და თვალის ბადურა დააზიანეს. რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს? — ამის დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელია, მაგრამ მეცნიერები რამდენიმე საშიშ ინფექციას ასახელებენ, რომელიც ადამიანის თავში ბუდობს...

თავის ყველაზე საშინელი ინფექციები

ამებათა უმრავლესობა მომაკვდინებელი არაა, თუმცა მათგან გამოწვეული ინფექციების მკურნალობა საკმაოდ რთულია. მაქსიმუმ, რითიც შეუძლია, ამებას ადამიანს ავნოს, დიარეაა, მაგრამ არსებობს არცთუ უვნებელი, თუმცა საბედნიეროდ, იშვიათი შემთხვევებიც:

Naegleria fowleri მტკნარ წყალში ბინადრობს და ადამიანის თავის ბანაობისას ტვინში ცხვირიდან ხვდება. ეს პარაზიტი თავისი მატარებლის ნერვულ სისტემას აზიანებს და მენინგოენცეფალიტს იწვევს. ბოლო 50 წლის განმავლობაში, მსოფლიო მასშტაბით, ასეთი, დაახლოებით, ორასი შემთხვევა დაფიქსირდა. ნეგლერიები ადამიანის თავის ტვინში, ძირითადად, წელიწადის ცხელ პერიოდში, წყალსაცავში ბანაობისას აღწევდნენ, მაგრამ 2012 წელს დაფიქსირდა ორი შემთხვევა, როცა ამებამ ორგანიზმში გამაჯანსაღებელი პროცედურებისას შეაღწია.

ნეგლერიასთან ბრძოლის საშუალებები მხოლოდ 2013 წელს აღმოაჩინეს. ამებას გაუმკლავდა პრეპარატი მილტეფოზინი და იმავე წელს, აშშ-ში, მილტეფოზინისა და თერაპიული ჰიპოთერმიის საშუალებით, ექიმებმა განკურნეს 12 წლის გოგონა, რომელიც აკვაპარკში დაინფიცირდა.

პარაზიტი, რომელიც ადამიანებს ინკუბატორად იყენებს, იწვევს „მდინარის სიბრმავეს“. დაავადების გამომწვევი Onchocerca volvulus კი, ძირითადად, აფრიკაში გვხვდება, სადაც მისი გადამტანები ბუზები არიან. მწერები კბენენ ადამიანს და ამასთან, გადასცემენ მატლს, რომელიც კვერცხებს დებს ადამიანის ორგანიზმში. ისინი იბუდებენ კანქვეშ და იწვევენ ციებას, მკვდარი მატლები კი აქვეითებენ იმუნიტეტს და შედეგად, ქსოვილი ლპობას იწყებს, ქვეითდება მხედველობა და საბოლოოდ, სიბრმავე ვითარდება.

აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემებით, მსოფლიოში ჰელმინიტით 17 მლნ-ზე მეტი ადამიანი იტანჯება. არსებულ პრეპარატებს მხოლოდ შეუძლიათ, ტანჯვა შეამსუბუქონ და აღკვეთონ სიბრმავე, მაგრამ პარაზიტებისგან ორგანიზმის ბოლომდე გათავისუფლება მედიკოსთა თავისტკივილად რჩება.

„ადამიანების მჭამელი“ — ასე ჟღერს ლათინურიდან ხორცის ბუზის „მემკვიდრეების“ სახელი Cochliomyia hominivorax. როგორც წესი, ბუზები კვერცხებს დებენ ისეთი მსხვილფეხა საქონლის ორგანიზმში, როგორიცაა ძროხა ან ცხენი, თუმცა არც ადამიანს ინდობენ. ეს მატლები ხრახნიან ჭანჭიკს ჰგავნან და, პატარა ეშვების წყალობით, ცხოველისა თუ ადამიანის ორგანიზმში საკმაოდ ადვილად აღწევენ. ერთ პარაზიტს ორგანიზმში 500 კვერცხის დადება შეუძლია და ამისთვის ხშირად ირჩევს მსხვერპლის თავს — ცხვირსა და პირს. 1883 წელს პირველად დაფიქსირდა ადამიანის სიკვდილი Cochliomyia hominivorax-ით.

სხვათა სორის, მენინგიტის ყველაზე მძიმე ფორმის მიზეზიც პარაზიტები არიან. ბაქტერიული მენინგიტი მომაკვდინებელია და მას სწორედ ის ბაქტერიები იწვევს, რომელიც ადვილად აღწევს ტვინის საფარში, რის შემდეგაც, ტვინზე ქსოვილის ზეწოლის გამო, ხდება შეშუპება. ადამიანს აღენიშნება მოთენთილობა, კარგავს წონასწორობას და ვარდება კომაში. ბაქტერიული მენინგიტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმპტომი კეფის კუნთის გამკვრივებაა. გარდა ამისა, ახასიათებს კანქვეშა სისხლჩაქცევებიც, შორსწასული ფორმისას კი, ადამიანი ფაქტობრივად სისხლის ცრემლებით ტირის, რადგან თვალში სისხლძარღვები სკდება.

ბევრი ბაქტერია და სოკო, რომელიც ბუდობს ადამიანს კანზე, რაღაც დოზით ეხმარება კიდეც ორგანიზმს და ინარჩუნებს ქიმიურ ბალანსს. ხანდახან ისინი კონტროლს აღარ ექვემდებარებიან, როგორც მუკორმიკოზის — rhinocerebral mucormycosis შემთხვევაში. ადამიანი ამ პარაზიტებით შეიძლება დაინფიცირდეს, თუ შემთხვევით, სოკოს სპორებს შეისუნთქავს. პირველ რიგში, რისკი მათთვის არსებობს, ვისაც დაქვეითებული აქვთ იმუნიტეტი და აწუხებთ შაქრიანი დიაბეტი. დაავადებას ახლავს ძლიერი ტკივილი სახის არეში, წყლულები კანზე და მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები. საბოლოოდ, ინფიცირებული ადამიანის სახე, მკვდარი ქსოვილის გამო, შავდება.

„მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანი აღარაა

წელს, ბილ გეიტსის ადგილი ტანსაცმლის მწარმოებელი კომპანია „ზარას“ დამფუძნებელმა, ამანსიო ორტეგამ დაიკავა. „ფორბსის“ მიხედვით, მისი ქონება 79,7 მილიარდს შეადგენს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ესპანელი ბიზნესმენის ქონება 5.2 პროცენტით - 3,9 მილიარდით გაიზარდა. რაც შეეხება ბილ გეითსს, მან მეორე ადგილზე ჩამოინაცვლა. მისი ქონება ბოლო მონაცემებით, 78,1 მილიარდ დოლარს შეადგენს. მესამე ადგილს კი ინვესტორი უორენ ბაფეტი იკავებს 64,4 მილიარდი დოლარის ოდენობის ქონებით.

ამანსიო ორტეგა კომპანია „ინდიტექსის“ მფლობელია. „ინდიტექსი“ „ზარას“, „მასიმო დუტის“, „ბერშკას“, „ფულ ანდ ბეარს“, „სტრადივარიუსის“ და სხვა ტანსაცმლის ბრენდების 6 750 მაღაზიის მმართველი კომპანიაა, რომელიც მსოფლიოს 88 ქვეყანაშია წარმოდგენილი.

„ბბნ.გე“

ჯენერიკ მედიკამენტებით იგივე შედეგის მიღწევაა შესაძლებელი, როგორც ძვირადღირებული პრეპარატებით მკურნალობისას

ბოლო პერიოდში მედიკამენტებზე ფასებმა საგრძნობლად მოიმატა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას. ჯანდაცვის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ ჯენერიკების სეგმენტის გაფართოება აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდოს და მეტი სტიმული ადგილობრივ წარმოებას მიეცეს. თუმცა, იმისთვის, რომ ზემოთ აღნიშნული განხორციელდეს აუცილებელია მედიკამენტის ხარისხის კონტროლის ახალი სტანდარტების დამკვიდრება და მწყობრი სისტემის ამუშავება, რაზეც სამინისტროში ინტენსიური მუშაობა უკვე დაწყებულია და რეალური შედეგები ცნობილი მალე გახდება.

„პაციენტმა არ იცის, რა არის ჯენერიკი. ამის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მას ოჯახის ექიმმა უნდა მისცეს. პაციენტი იმ პრეპარატს ყიდულობს, რაც რეცეპტშია მითითებული, შესაბამისად, მისი ქცევა დამოკიდებულია ექიმზე, თუ რამდენად მიზანმიმართულად მიიჩნევს, მკურნალობა ჯენერიკ მედიკამენტებით გააგრძელოს“, — აღნიშნავს ოჯახის ექიმი **ქეთევან შალიკაშვილი**.

როგორც თავად ამბობს, ეფექტურად იყენებს ჯენერიკ მედიკამენტებს და ენდობა. მის ეფექტურობას ფასი და ხარისხი განსაზღვრავს: **„უპირველესად, ჯენერიკ მედიკამენტი გაცილებით ხელმისაწვდომია, ვიდრე ბრენდული პრეპარატი. გარდა ამისა, იგივე შედეგის მიღწევაა შესაძლებელი, როგორც ძვირადღირებული პრეპარატებით მკურნალობისას. საკმაოდ ხშირად ვიყენებ, თუმცა ზოგჯერ პაციენტს ბრენდულ მედიკამენტსაც ვუნიშნავ, გააჩნია პაციენტის ფინანსურ მდგომარეობასა და ავადმყოფობის დონეს.“**

ირკვევა, რომ ბრენდსა და ჯენერიკს შორის განსხვავება მხოლოდ ფასშია და არა მის ხარისხსა და ეფექტურობაში.

„ჯენერიკულ მედიკამენტს შეიძლება ერთი და იგივე შემადგენლობით, სხვადასხვა ქვეყანაში აწარმოებდნენ და შესაძლოა, სხვადასხვა დასახელებით იყიდებოდეს სააფთიაქო ქსელში. ზოგიერთი პაციენტი თავად ითხოვს, რომ დავუნიშნოთ ჯენერიკი, მისი დაბალი ფასიდან გამომდინარე. ზოგიერთი კი პირიქით. როგორც ჩანს, საზოგადოების ინფორმირება ამ მიმართულებით დაბალია, შესაბამისად, დაბალია ნდობაც. ამიტომ აუცილებელია, ჯანდაცვის სამინსიტრომ ამ მიმართულობითაც დაიწყოს მუშაობა“, — ამბობს ქეთევან შალიკაშვილი.

გაუპატიურებულმა კახელმა მეღვინემ თავი მოიკლა

პატიმრების „გაქათმების“ ჩეჩნური „ცრადიცია“

პატიმარი №0578

სამწუხაროდ, ყველაფერი იქით მიდის, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები კვლავ აქტუალური იქნება. სხვადასხვა ქვეყანაში მყოფი ჩინიანნი თუ უჩინონი, საუბედუროდ, ამ კადრებს ფლობენ და თუ ვიღაცას ეს პოლიტიკისთვის სჭირდება, სარფიანად ყიდის. ეს ძალიან, ძალიან სახიფათო თამაშია და თუ გახსოვთ, არცთუ შორეულ წარსულში, ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა თავი მას შემდეგ მოიკლა, რაც მის შვილს სწორედ ფარულ ჩანაწერებზე ესაუბრნენ — თვითმკვლელობით ფარული ჩანაწერები დააკონსერვა, მაგრამ თუ ესაა გამოსავალი, ადამიანები სუიციდამდე მივიყვანოთ, მაშინ აჯობებს, ვაღიაროთ, რომ იმ მოძალადე ადამიანებზე უკეთესი, ვინც იმ ვიდეოებში ჩანს, არაფრით ვართ...

რუსთავის №17 ზონა იმით იყო გამორჩეული, რომ ბოლო, ყველაზე მასშტაბური გაქცევა სწორედ იქიდან მოხდა და რაც მთავარია, ისინი, ვინც მაშინ გაიქცნენ და შემდეგ დაიჭირეს, სასჯელს კვლავ იქვე იხდიდნენ. გაქცევის საშიშროება აღარ არსებობდა, რადგან ნაციონალური მოძრაობის ზეობის პერიოდში, პენიტენციალურ სისტემაზე ძალიან ბევრი ფული დაიხარჯა და ნახევრადდანგრეული შენობები ან მთლიანად დაინგრა და ახალი აშენდა, ან საიმედოდ გარემონტდა. შესაბამისად, გაქცევაზე არავინ ფიქრობდა, თუმცა ისეც არ იყო, რომ ამაზე არ ემსჯელათ და ზოგი რას ამბობდა, ზოგიც — რას. ძირითადად, ვარაუდი ოცნებაზე იყო დაფუძნებული, თორემ საქონლის ქურდისთვის ზონის ეზოში სამხედრო ვერტმფრენს, თავისი „ბოევიკებით“ რომ არავინ დასვამდა, რა ძნელი მიხვედრა უნდოდა.

იმის მიუხედავად, რომ პატიმრები არჩევნებში არ მონაწილეობდნენ, არჩევნები მაინც მთავარი თემა იყო, მით უმეტეს, 2012 წლის არჩევნები, როცა ყველა ხელისუფლების ცვლილებას ელოდა. მართალია, ციხის ხელმძღვანელობა ამბობდა, ნურაფრის იმედი გექნებათ, არაფერი შეიცვლებაო, მაგრამ პატიმარს სხვა რა საქმე აქვს, გარდა იმისა, რომ იჯდეს და ელოდოს, ელოდოს სასწაულს და რეალურად, ეს სასწაული 2012 წლის 1 ოქტომბერს მოხდა. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ ნაცხელისუფლების დამარცხება რეალური „ციხის კადრების“ გავრცელების მერე გახდა.

„პატიმრების უკანალით მოიგეს არჩევნები“, — ასე ხუმრობდნენ მაშინ ციხეებში და ამნისტიის მოლოდინშიც იყვნენ. გაამართლა თუ არა მოლოდინმა, ეგ სხვა საკითხია. მთავარი მაინც ის კადრები იყო, რომლებიც ციხეებში არ უჩვენებიათ, რადგან საკაბელო ტელევიზია, უბრალოდ, გათიშეს და პატიმრებმა ყველაფერი მოყოლით იცოდნენ.

„დრო შეიცვალა, დრო... ხალხი გაფუჭდა, ერთმანეთს აღარ ენდობა, თორემ რად უნდა მაგას კადრები და ჩვენება, თქვი და მორჩა“, — ჩაილაპარაკა ერთხელ, პაპამ, რომელსაც ციხეში ცხოვრების ორ მესამედზე მეტი ჰქონდა გატარებული და ახლაც იმხელა „სროკს“ იყო „შეჭიდებული“, ბევრი ამბობდა, გარეთ ცოცხალი ვეღარ გააღწევსო. პატიმარმა №0578-მა იცოდა, რომ პაპა ერთ-ერთი იმათგან იყო, ვინც რამდენიმე წლის წინ, ამავე ციხიდან გაიქცა, თუმცა იმ გაქცევის მოხდილი ჰქონდა, გარეთაც იყო გასული და უკან დაბრუნებაც მოასწრო.

„რა ნდობაზე ამბობ, პაპა, რა თქვი და მორჩა, ვერ გავიგე“, — ჰკითხა №0578-მა.

„ადრეც იყო ეგა, ადრეც... „ხმარობდნენ“ ხალხსა, მაგრამ ვიდეოს კი არ უღებდნენ, ისე სჯეროდათ ადამიანებს ერთმანეთის“, — ჩაილაპარაკა პაპამ და კამერისკენ ნელი ნაბიჯით დაიძრა. №0578 ლანდივით აედევნა, კამერაში შეჰყვა და ისე რომ, არც მოტრიალებულა, პაპას ხმა გაიგო: „შენა ხარ, №0578-ო, სხვა არავინ გამომყვებოდა ამ ისტორიის მოსასმენად“.

„მე ვარ, პაპი, მე და შენ თუ მაგ ისტორიას მომიყვები, მაგას თუ ამიხსნი, მაშინ როგორ ხდებოდა, რაც გინდა, მთხოვე“, — გაუღიმა №0578-მა.

„რა უნდა გთხოვო, სიგარეტი მაქვს, ჩაიც მაქვს და არესტანტს მეტი არ სჭირდება. ეს ახლაა, გარედან სახის კრემებს და ყავას რომ აბარებენ, თორემ მაშინ სად იყო ყავა და კრემები, ჩაი და სიგარეტი, ეს იყო მთავარი... ყავა... ყავა მოადუღეთ და აგერ დამისხით“, — თითქოს წყენით თქვა პაპამ.

„ჰოდა, სიგარეტს და ჩაის მოგიტან, რამდენსაც გინდა“, — მაშინვე უთხრა №0578-მა, ემანდ, მოყოლა არ გადაიფიქროსო. პაპა ნარზე ჩამოჯდა, სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა, შეიკურთხა, „ასტრაც“ გააფუჭეს და ხალხი რომ გაფუჭდეს, რა გასაკვირაო და №0578-ს მოჭუტული თვალებით შეხედა. ახალგაზრდა პატიმარი ხმას არ იღებდა, იცოდა პაპას ხასიათი, შეპასუხება და შეკამათება შეიძლებოდა იმით დამთავრებულიყო, რომ პაპას ეთქვა, მეძინებაო და თვალები მიელულა. როცა პაპა მიხვდა, №0578 არაფრის თქმას აპირებდა, დაიწყო:

„ადრე იყვნენ ისეთი მეღვინეები, მევახშეები, ცეხავიკები თუ სპეკულიანტები, იარაღით ვერ შეაშინებდი. სახლი ციხესიმაგრედ ჰქონდათ ქცეული და წინააღმდეგობას იარაღითვე გიწევდნენ: ან უნდა შეშვებოდი, ან უნდა მოგეკლა, მკვდარი კაცი კი არაფრის გადამხდელი არ არის. მაშინ მოიფიქრეს ჩვენებმა... პრინციპში, რაღა ჩვენებმა, ამბობენ, პირველად ეს ჩეჩნებმა გააკეთეს გროზნოშიო და მერე გადმოიღეს ქართველებმა. გაიტაცებდნენ საქმოსანს და რამდენიმე კრიმინალის თანდასწრებით, საოხრეს მიადებდნენ ან უკანალზე, ან პირზე. ეს იყო სულ და არ უნდოდა მაგას გადაღება და ჩვენება. ეტყოდნენ მერე, თუ ფულს არ მოიტან, ამ ამბავს გაგიბაზრებთო. მაშინ კანონიერი ქურდების, ხალხს, როგორც ღმერთის, ისე სჯეროდა. ტყუილს არ იკადრებდა არავინ და აბა, წარმოიდგინე, 2-3 ქურდს რომ ეთქვა, ესა და ეს კაცი საოხრეს ქვეშ დააყენესო (ასე ერქვა მაშინ ამას), ვინ არ დაიჯერებდა? საქმოსანიც სახელს უფრთხილდებოდა და ფულს იწველებოდა. ახლა რომ ყირაზე გადადიან და არ რცხვენიათ, მაშინ ასე არ იყო, მიდებაც კი საკმარისი იყო, რომ კაცს ყველაზე დიდ შეურაცხყოფად მიეღო და ამის გახმაურების შიშით, ყველაფერი გაეკეთებინა“, — თქვა პაპამ.

„კონკრეტული შემთხვევა შეგიძლია, გაიხსენო?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„ხედავ, როგორ გაფუჭდა ხალხი? შენც არ გჯერა, რასაც გიყვები. როგორ არ შემიძლია... ერთი მეღვინე იყო კახეთში, დიდი ფული ჰქონდა. ვაჟკაცი კაცი იყო. საიდან არ მოვუარეთ, საიდან არ მივუდექით, უარს ამბობდა. კაცურად მთხოვეთ, თუ გინდათ და ჭირისთვის და ლხინისთვის ღვინოს მოგცემთ, ფულს არ გადავიხდიო. მაშინ გადაწყვიტეს, გაეტაცებინათ და ის ექნათ, რაც წეღან გითხარი. წაიყვანეს ტყეში. საბედნიეროდ, იქ არ ვიყავი. ორი იყვნენ, ჩემი ძმაკაცები. მოკლედ, ვერ გეტყვი, რა მოხდა, მაგრამ როლში შესულან ბიჭები და იხმარეს ის მეღვინე. ორი კვირა იმის ასავალ-დასავალი ვერ გავიგეთ, ორი კვირის შემდეგ კი, ერთ საღამოს, ორივე ძმაკაცს დაუძახა და ჯერ ერთს ესროლა, მერე — მეორეს, მერე კი სახლში მივიდა და თავი მოიკლა. გესმის, შენ? შეურაცხყოფისთვის ის კი არ უთქვამს, გადავიხდი, ამას ვიზამ, იმას ვიზამო... თავი მოიკლა და მანამდე ისინი გაიმძღვარა წინ. მერე ამბობდნენ, ფინანსური დარღვევების გამო მოიკლა თავიო, მაგრამ მე ხომ ზუსტად ვიცი, რისთვის და რატომ... ახლა კიდევ ეამაყებათ, „ქათმები“ ტელევიზიით გამოდიან. გადაგვარდა ხალხი, გადაგვარდა“, — დანანებით თქვა პაპამ.

„ახლა აღარ ხდება ასეთი რამე?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„რა ვიცი, მე არ გამიგია, მაგრამ ახლა აღარც ქურდების სიტყვის სჯერა ხალხს და აღარც ეგ არის სასიკვდილო სირცხვილი“, — თქვა პაპამ და ნარზე წამოწვა, რაც საუბრის დასრულებას ნიშნავდა.

ვერსიანიუსი

სამართალდამცავებმა ჰეროინი ამოიღეს

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული მანუჩარ გ. ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 0,003452 გრ ჰეროინი ამოიღეს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

პოლიციამ რუსთავში გამოძალვისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დანაშაულებრივი ჯგუფი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: აზერბაიჯანის რესპუბლიკის ორი მოქალაქე — 1976 წელს დაბადებული მუბარიზ ბ. და 1984 წელს დაბადებული ფარიზ ჰ. და საქართველოს სამი მოქალაქე: 1988 წელს დაბადებული ვლადიმერ ჯ, 1983 წელს დაბადებული ვუკარ კ. და 1988 წელს დაბადებული რომან ზ. ორგანიზებული ჯგუფის მიერ გამოძალვის და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით, რუსთავში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა წინასწარი შეთანხმებით, ფულის გამოძალვის მიზნით, დაგეგმეს და თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს რუსეთის ფედერაციის 2 მოქალაქეს. რუსეთიდან საქართველოში ნათესავის ქორწილში სტუმრად ჩამოსული ბიზნესმენები — უზეირ ს. და მახირ ა. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს რამდენიმე დღის განმავლობაში უკანონოდ ჰყავდათ ჩაკეტილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ გამოსასყიდ თანხას ითხოვდნენ.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის ხუთივე წევრი დააკავეს. პოლიციამ გამოსასყიდი თანხის ნაწილი — 5 700 ამერიკული დოლარი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვის და ორგანიზებული ჯგუფის მიერ სხვა დანაშაულის დაფარვის გაადვილების მიზნით ორი ან მეტი პირის მიმართ სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუქტებით, მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

შს მინისტრს ამერიკული ხომალდის კაპიტანმა უმასპინძლა

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, თავდაცვის მინისტრ თინათინ ხიდაშელთან, საქართველოში აშშ-ს ელჩ იან კელისთან და შს მინისტრის მოადგილე, სასაზღვრო პოლიციის უფროს ზურაბ გამეზარდაშვილთან ერთად, ბათუმში აშშ-ს სამხედრო საზღვაო ძალების ხომალდ PORTER-ზე გამართულ მიღებას დაესწრო. ამერიკული გემი საქართველოს ტერიტორიულ წყლებში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შემოვიდა.

ოფიცალურ მიღებაზე კაპიტანმა სტუმრებს ხომალდი დაათვალიერებინა, მისი ტექნიკური მახასიათებლები გააცნო და უსაფრთხოების მიმართულებით ორი ქვეყნის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

საქართველოსა და აშშ-ს საზღვაო ძალების წარმომადგენლები, ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, ერთობლივ სწავლებაში მიიღებენ მონაწილეობას, რაც პირველად დახმარებას და ძებნა-გადარჩენის ოპერაციებს ითვალისწინებს. ვიზიტის ბოლო დღეს ერთობლივი საზღვაო მანევრები ჩატარდება, რომელიც საზღვაო უსაფრთხოების ეფექტურობის გაზრდას და ღია წყლებში სხვადასხვა სახის ოპერაციის ჩატარებას ისახავს მიზნად.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ამერიკული ხომალდის კაპიტანმა საქართველოს შს მინისტრს სიმბოლური საჩუქარი — კომპასი გადასცა.

„ვერსიანიუსი“

სუდოკუ

ადვილი

7				4				
					1	3	6	
	3	2	9				5	
8	7					4		
	2			1			7	
		4					8	2
	8				5	9	4	
	6	5	2					
				7				6

სტანდარტი

		4			9		7	
			8	7				3
						1		9
	7	8	4		5		3	
5								8
	4		3		8	7	6	
4		2						
9				5	1			
	3		6			2		

რთული

7						9		4
	3	2	1		7			5
			5			3		7
		3			2		8	
				5				
	7		3			2		
8		9			5			
5			4		1	6	3	
3		6						8

ექსპერტი

		1	7	6				2
			1			7		
					8		9	6
	6					2	8	
1			4		6			5
	7	3					6	
9	1		2					
		6			1			
7				5	9	4		

ძაღლები „საბავშვო ბაღში“ დაჰყავთ

ბერლინი წესრიგისა და აკურატულობის ქალაქია და იქ ყველაფერი მართლაც ჭკუით არის გაკეთებული. მაგალითად, გაგიჩნდათ ოთხფეხა მეგობრის ყოლის სურვილი. არადა, დილით სამსახურში მიდიხართ და შინ გვიან ბრუნდებით, თქვენი ძაღლი კი ამასობაში უყურადღებოდ არის და მზრუნველობას მოკლებულია? ამ „პრობლემის“ გადაჭრა გადაწყვიტეს ბერლინში და ადამიანების ერთგული მეგობრებისთვის საბავშვო ბაღის მსგავსი დაწესებულება დააარსეს. ყოველ დილას თქვენ ძაღლს სპეციალური ავტობუსი მოაკითხავს, რომელიც 20-მდე „მგზავრს“ იტევს. მათ ბერლინთან ახლოს, პატარა დასახლება ბილიტცში გადაიყვანენ, სადაც სპეციალურ სასტუმროში ისინი გაერთობიან, ირბენენ, ითამაშებენ, დაიძინებენ, საღამოს კი იგივე ავტობუსი „აღსაზრდელებს“ სახლებში ჩამოარიგებს. ძაღლების „საბავშვო ბაღში“ ერთი დღის გატარება მფლობელებს 15 ევრო დაუჯდებათ.

კარტოფილ-ფრის ავტომატი ყიდის

ჰოლანდიურმა კომპანიამ Caenator მსოფლიოში პირველი სავაჭრო ავტომატი შექმნა, რომელიც კარტოფილ-ფრის მზადებს. ამ ვენდინგური ავტომატიდან შეგიძლიათ, დღის ნებისმიერ დროს მიიღოთ საყვარელი საჭმლის ახალი ულუფა. კარტოფილ-ფრის ავტომატი სულ რაღაც 110 წამში ამზადებს და მისგან მოგება იმ შემთხვევაში იქნება, თუკი დღეში 40 ულუფა გაიყიდება. გარდა ამისა, მოწყობილობა საერთოდ უხმაუროა, არ გამოსცემს სუნს და სავსებით უსაფრთხოა, — დარწმუნებით ამბობენ მისი შემქმნელები. ავტომატში საყინულეა, რომელიც 25 კილოგრამ გაყინულ პროდუქტს იტევს. სპეციალური სისტემის წყალობით, აპარატს შეუძლია აწონოს და მზად ჰქონდეს ფრის ერთი ულუფა შესაწვავად. ახალი ავტომატის პროტოტიპი ამჟამად ტესტირებისთვის ვაგენინგენის უნივერსიტეტის კამპუსის რესტორანში დადგეს.

მენიუ სისხლის ჯგუფის მიხედვით

დიეტა სისხლის ჯგუფის მიხედვით საკმაოდ პოპულარულია, ვისაც წონაში მოკლება სურს. თუმცა, აქამდე მათ თავად უხდებოდათ შესაფერისი პროდუქტის შერჩევა და საკვების მომზადება. ტაილანდის დედაქალაქში კი პირველი რესტორანი გაიხსნა, რომელიც კლიენტებს მდიდარ მენიუს სთავაზობს სისხლის ჯგუფის მიხედვით. დაწესებულებას The Third Floor ჰქვია და მას ოთხი სახის მენიუ აქვს სისხლის ყოველი ჯგუფისთვის. კერძის საფუძველი, შესაძლოა, ერთი და იგივე იყოს, მაგლითად, პელმენი, მაკარონი, შემწვარი ბრინჯი, მაგრამ მეორე ჯგუფის სისხლის მქონეთათვის ის ბერძნულ სალათთან ერთად მიაქვთ, მეოთხესთვის — კრევეტებით, პირველი და მესამე ჯგუფისთვის კი ქათმის ხორცით. კლიენტს შეუძლია სისხლის ჯგუფი არ დაასახელოს და რესტორნში კერძი სხვა ჯგუფიდან შეუკვეთოს, თუმცა ოფიციანტებსა და მზარეულებსაც არ უყვართ ასეთი სტუმრები.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	8	7	9	4	6	2	5	3
6	2	5	1	3	8	7	4	9
3	4	9	7	5	2	1	8	6
9	5	2	4	7	3	8	6	1
7	6	1	5	8	9	4	3	2
4	3	8	6	2	1	9	7	5
2	9	3	8	6	7	5	1	4
8	1	4	3	9	5	6	2	7
5	7	6	2	1	4	3	9	8

სტანდარტი

8	9	2	7	1	4	3	6	5
7	6	5	3	2	9	1	4	8
4	3	1	6	8	5	9	2	7
2	7	9	1	6	8	5	3	4
6	1	4	5	3	7	8	9	2
5	8	3	4	9	2	7	1	6
3	5	8	2	4	1	6	7	9
1	4	7	9	5	6	2	8	3
9	2	6	8	7	3	4	5	1

რთული

6	9	1	2	4	8	5	3	7
8	7	5	3	1	6	4	2	9
4	3	2	5	7	9	1	6	8
9	5	3	6	2	7	8	4	1
2	8	6	1	5	4	7	9	3
1	4	7	9	8	3	2	5	6
7	2	9	8	3	5	6	1	4
5	6	8	4	9	1	3	7	2
3	1	4	7	6	2	9	8	5

ექსპერტი

8	3	7	5	6	9	4	2	1
2	1	6	4	8	3	9	7	5
5	9	4	2	7	1	8	6	3
7	6	5	3	2	8	1	4	9
4	2	1	9	5	7	3	8	6
3	8	9	1	4	6	7	5	2
1	7	8	6	3	2	5	9	4
6	5	3	8	9	4	2	1	7
9	4	2	7	1	5	6	3	8

მე-9 გვერდი: 1. ცურვა; 2. სარმა; 3. ცუნამი; 4. რულადა; 5. ანკესი; 6. საკანი; 7. რუჯერო; 8. ანჯამა; 9. იანკი; 10. ოდილია; 11. კულონი; 12. იკაკო; 13. ოკაპი; 14. ჯოჯიკი; 15. სოდომი; 16. მირონი; 17. „აიდა“; 18. ობოლი; 19. რისლინგი; 20. კიკო; 21. ოკულისტი; 22. ესენინი; 23. ეპისკოპოსი; 24. კოლიბრი; 25. უაილერი; 26. ელენე; 27. ინკვიზიცია; 28. ესე; 29. ეკი; 30. პაულსი; 31. ლობიო; 32. აკმე; 33. ესქილე; 34. პაიკი; 35. ლომონოსოვი; 36. ნიბლია; 37. არმანიაკი; 38. სელი; 39. გნუ; 40. ილია; 41. ბიბი; 42. ელია; 43. არზა; 44. კოლონია; 45. ლასი; 46. აარე; 47. ქსი; 48. ონისე; 49. ემირ; 50. პიერო; 51. უაგადუგუ; 52. ტირამისუ; 53. აფრა; 54. რებუსი; 55. ემი; 56. რაცია; 57. ნეი; 58. პაატა; 59. გეა; 60. ლიგა; 61. ბანი; 62. თეტიდა; 63. სმალტა; 64. ესენი; 65. ჩილე; 66. სანა; 67. იასამანი; 68. ულმი; 69. რკო; 70. სოს; 71. აიაჩო; 72. უნიკალური; 73. უბე; 74. ატილა; 75. ხივა; 76. აგარი; 77. ტლუ; 78. სურდო; 79. მახათი; 80. უზი; 81. ქარი; 82. ეტა; 83. ემალი; 84. „იზა“; 85. იაქი; 86. ბასმა.

მე-11 გვერდი: 1. დარბაზი; 2. ბარიერი; 3. დუქარდი; 4. რაფსი;'5. აორტა; 6. იტილი; 7. ბუნკერი; 8. რაია; 9. ეთნარქი; 10. იტალია; 11. ოქსფორდი; 12. ეოსი; 13. გვარი; 14. ნიცშე; 15. ანაკონდა; 16. ნინო; 17. დარეჯანი; 18. იორდანე; 19. რეიგანი; 20. ერი; 21. ოდა; 22. „ნათელა; 23. იოლი; 24. აქშა; 25. ლუკა; 26. ყბა; 27. აირანი; 28. დისტანცია; 29. „რაშოვდა“; 30. ლავანდა; 31. კალიგულა; 32. ილაჯი; 33. იდა; 34. იდო; 35. ბრიჯი; 36. ნეკი; 37. წითელა; 38. ვალაბი; 39. იბისი; 40. წითურა; 41. ადიუ; 42. ასლი; 43. ალიდადა; 44. იქსი; 45. კამიუ; 46. ალათა; 47. ლავა; 48. ნუგა; 49. აბანოზი; 50. უმალ; 51. დრანდა; 52. ეჯი; 53. ასი; 54. ზარნაშო; 55. სნო; 56. ატლანტიდა; 57. ური; 58. მია; 59. აული; 60. მი; 61. ცა; 62. აურა; 63. უზმო; 64. რუ; 65. ომარ; 66. ბეცი.

შვილის გაყდენებისთვის ცხელში მამა ჩასვეს

ოჰაიოს შტატის მცხოვრები ბრაიან ჯეგნერი საპატიმროში 180 დღეს იმის გამო გაატარებს, რომ მისი ქალიშვილი სკოლას ხშირად აცდენდა და ვერ შეძლო მათემატიკის გამოცდის ჩაბარება. მამას „არასრულწლოვანისთვის სამართალდარღვევაში ხელშეწყობა“ ედება ბრალად. 18 წლის ბრიტანი დიდი ხნის განმავლობაში არ დადიოდა გაკვეთილებზე და სასამართლომ მამას მოსთხოვა, გაეკონტროლებინა ქალიშვილის საგანმანათლებლო პროცესი, თვალყური ედევნებინა გამოცდებისთვის მზადებაში. სასამართლოს დადგენილება მეტად უსიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა ჯეგნერის ოჯახისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ქალიშვილზე მეურვეობა მას აქვს დაკისრებული, გოგონა დედასთან ცხოვრობს და 18 თვის შვილიც ჰყავს. მამამ განაჩენის გასაჩივრება გადაწყვიტა, ბრიტანი კი დაპირდა, რომ ტესტის ხელმეორედ ჩაბარებას შეეცდება. როგორც მოსამართლემ განაცხადა, თუ გოგონა გამოცდის ჩაბარებას შეძლებს, ბრაიანს ციხიდან გაათავისუფლებენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge

გართობა



1. ქალაქი უკრაინაში
2.სოფლის გზა ორი-ვე მხარეს ღობეებით
3. მწერალი ... ჰემინგუეი
4. ისტორიის მუზა
5.ხმლის, ხანჯლის ბუდე
6.მთელი ეკიპაჟის მუშაობა გემზე
7. ერთ-ერთი ურჩხული ბერძნით.
8. დაბა ზესტაფონის რაიონში
9. ირანის დიდი შაჰი
10. აშშ-ის შტატი
11. თოვლის ჯიქი
12. სიყვარულის ქალაქი კახეთში
13.ხელების კანკალი სამედიცინოენაზე
14. საშობაო სიმღერა
15. ხელოვნური მორწყვის სპეციალისტი
16.გურამ ფანჯიკიძის რომანი
17. განის დედაქალაქი
18. „ფისტაშკა“ - ქართულად
19. დადებითად დამუხტული ელექტროდი
20. წვეტიანი ყინული ხეებზე
21. იგივეა, რაც იარლიყი
22.ნახევრად დამშრალი ზღვა აზიაში
23. მექანიკის ნაწილი
24. ესტონეთის დედაქალაქი
25. საიუველირო ფირმა
26. მამალი ლომისა და დედალი ვეფხვის ჰიბრიდი
27. საოჯახო ელექტროხელსაწყო
28. ლენონის ქვრივი იოკო...
29. მდინარე ავსტრიაში
30. კრივის მოედანი
31. მოძღვრება სიბერის შესახებ
32.ჩანგლის შემცვლელი ჩხირები იაპონიაში
33. ბანქოს თამაშის სახეობა
34. ინგლისის ნაკრების კაპიტანი
35. ცნობილი რუმინელი ჩოგბურთ.
36. კუნთების ტონუსის დაქვეითება
37. უკრაინის პარლამენტი
38. ვულკანი სიცილიაზე
39.ფრანგი პოეტი გიიომ ...
40.ავტომობილი ბავშვის ენაზე
41. ბედი, ბედისწერა
42. კედლის ჭაღი
43.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
44. გაეროს განყოფილება
45. ადამიანის სამეტყველო ორგანო
46. ჭადრაკის ფიგურა
47. ადამიანის ბიოველი
48.ფულადი დახმარება ხანშიშესულთათვის
49.ქალის ვარცხნილობის ტიპი
50. იგივეა, რაც სვირინგი
51. დიდი ჩაქუჩი
52. ბალახის ჩრდილი
53. შინაური ცხოველი
54. გარეული ღორი
55. მწერალი ... ზოლა
56. აფრიკელთა სასროლი შუბი რკინის ბოლოთი
57. პატარა საწნახელი
58. საგანთა ნუსხა
59. ღრმა ჭრილობა
60. თერძის ინსტრუმენტი
61. (ძვ.) სიცხიანის სადები წამალი
62. სამი წერტილი კამათელზე
63. იტალიური ლიქიორი, რო-მელსაც ნუშის-გან ამზადებენ
64. უტოტო ხე